საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 8 დეკემბერი, 1944 წ. № 246 (7199). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

დროულად და სწორად გავანაწილოთ საკოლმეურნეო შემოსავალი. მოწინავე (1-ლი გვერდი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან. 6 და 7 დეკემბრის ოპერატიული ცნობები (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოება (1-ლი გვერდი).

საბჭოთა იმპერატორლარეთის გმირული დაცვა. „პრავდის“ 6 დეკემბრის მოწინავე (მე-2 გვერდი).

დ. ზასლავსკი. გერმანული ფაშიზმის მორალურ-პოლიტიკური დამარცხება (მე-2 გვერდი).

ლენინი და სტალინი შრომის დისციპლინის შესახებ (მე-2 გვერდი).

ა. მაჭარაშვილი. როგორ გავანაწილებთ მოსავალს და შემოსავალს (მე-3 გვერდი).

შ. გვინჩიძე. პ. ლ. ჩებიშევი (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ამბები. დეპეშები (მე-4 გვერდი).

დროულად და სწორად გავანაწილოთ საკოლმეურნეო შემოსავალი

მთავრდება სამეურნეო წელი. კოლმეურნეობები და კოლმეურნეები ჯამებენ თავიანთი შრომის ნაყოფს და ემზადებიან ნატურალური და ფულადი შემოსავლის საბოლოო განაწილებისათვის. ჩვენმა კოლმეურნეებმა წელს დაუღალავი შრომით უხვი მოსავალი მოიყვანეს. შარშანდელთან შედარებით კიდევ უფრო გაიზარდა კოლმეურნეობების და კოლმეურნეების შემოსავალი, შრომადღის ღირებულება. ბორჩალოს რაიონის სოფელ დემურჩი-გასანლოს კოლმეურნეობა „ენიოლში“ შრომადღეზე გაანაწილეს 23 კილოგრამი სიმინდი. ონის რაიონის სოფელ ფარახეთის ბერიას სახელობის არტელის კოლმეურნეებმა შრომადღეზე მიიღეს 5,8 კილოგრამი მარცვლეული და გარდა ამისა მრავალი სხვა პროდუქტი. ამავე რაიონის სოფელ სევის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობაში 4,3 კილოგრამი მარცვლეული გაანაწილდა. გულრიფშის რაიონის კოდორის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობა „უუს-ილმის“ ფულადი შემოსავალი შარშან 2.857.230 მანეთს შეადგენდა, წელს კი სამნახევარ მილიონ მანეთამდე აღწევს. ასეთი ფაქტები მრავალია.

მოსავლისა და შემოსავლის განაწილება ტექნიკური სამუშაო როდია. შარშან იყო ისეთი მაგალითები, როდესაც ზოგან ეს საქმე მარტო საანგარიშო დარგის მუშაკებს მიანდეს. ეს წელს აღარ უნდა გავიმეოროთ. შემოსავლის საბოლოო განაწილება პოლიტიკური მნიშვნელობის საქმეა და, მაშასადამე, აღგილობრივი პარტიული, საბჭოთა ორგანიზაციები, სამეწარმოქმედო ორგანოები ვალდებული არიან უხელმძღვანელონ ამ საშუამაოს.

სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდება საკოლმეურნეო ცხოვრების უმაღლესი კანონია. კოლმეურნეობები, რომლებიც წესდების ყველა მუხლს განუხრელად ასრულებენ, შესანიშნავ წარმატებებს აღწევენ როგორც სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებების შესრულებაში, ისე შრომადღის ღირებულების ზრდის საქმეში. მოსავალი და შემოსავალი ისე უნდა ვაგანაწილოთ, როგორც ამას ითვალისწინებენ სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდება, პარტიისა და მთავრობის დადგენილებანი. არტელის სტალინური წესდების მე-15 მუხლში ნათქვამია: „წევრებს შორის არტელის შემოსავლის განაწილება ხდება მხოლოდდამხოლოდ არტელის თვითეული წევრის მიერ გამომუშავებული შრომადღეების რაოდენობის მიხედვით“ მაგრამ ზოგან ამ ძირითად მოთხოვნას არ იცავენ. მაგალითად, კასპის რაიონის სოფელ შუავებნის კოლმეურნეობა „წინსვლაში“ არცლეული ავანსად გასცეს არა გამომუშავებული შრომადღეების მიხედვით, არამედ თანაბრად. ბოლო უნდა მოვუღოთ ასეთ ანტი-კოლმეურნეო პრაქტიკას.

მოსავლისა და შემოსავლის საბოლოო განაწილება უნდა მოხდეს მას შემდეგ, როდესაც კოლმეურნეობა შეასრულებს ყველა ვალდებულებას სახელმწიფოს წინაშე, გამოჰყოფს არტელის სტალინური წესდებით დაწესებულ საზოგადო ფონდებს და პროდუქტების ნაწილს სახელმწიფოსათვის მისაყიდად ან ბაზრის გასაყიდად, ხოლო ფულად შემოსავალს გაანაწილებს მას შემდეგ, როდესაც გადაუხდის სახელმწიფოს კანონით დაწესებულ გადასახადებს, დაუბრუნებს ფულად სახსრებს, შეავსებს არტელის განუყოფელ ფონდს და გამოჰყოფს სახსრებს წესდებით გათვალისწინებული რაოდენობით.

დღეს ჩვენ ვაქვეყნებთ მასალას ქასპის რაიონის სოფელ ქვემოჭალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში მოსავლისა და შემოსავლის განაწილების შესახებ. ამ წერილიდან ნათლად ჩანს, რომ აქ მოსავალს ანაწილებენ კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების მიხედვით და მზად არიან მისათვის, რომ წლის ბოლოს დაამთავრონ ეს საქმე. საჭიროა მოწინავე კოლმეურნეობათა გამოცდილება ფართოდ გავავრცელოთ. ჩვენი რაიონული პრესა მოწოდებულია იბრძოლოს ამ მხრივ დადებითი მუშაობის გამოცდილების დანერგვისათვის და ამასთანავე თავის დროზე გამოამჟღავნოს დაბრკოლებანი.

მოსავლისა და შემოსავლის სწორად განაწილების საქმეში, რაიმიწგანებთან, კოლმეურნეობათა გამგეობებთან, საანგარიშო დარგის მუშაკებთან ერთად, სერიოზული ამოცანები დაკისრებული აქვთ სარევიზიო კომისიების წევრებს. სარევიზიო კომისია კოლმეურნეობის ფხიზელი თვალია. ის ვალდებულია შეამოწმოს გამგეობის მთელი სამეურნეო-საფინანსო საქმიანობა, ანგარიშსწორება და თვალყური ადევნოს მოსავლისა და შემოსავლის სწორად განაწილებას. კოლმეურნეობის გამგეობის მიერ შედგენილ მოსავლის განაწილების გეგმას ამოწმებს სარევიზიო კომისია. კოლმეურნეობა პირველად მოსავალს მას შემდეგ ანაწილებს, როდესაც განაწილების სქემა დამტკიცებულია საერთო კრების მიერ.

ფრონტის მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენს კოლმეურნეთა შრომის დამატებითი ანაზღაურება. ამ კანონს ურყევად მაშინ განვახორციელებთ, როდესაც მოსავალი აღრიცხულია ცალკეული ბრიგადებისა და რგოლების მიხედვით, როცა აღირიცხება კოლმეურნეთა მიერ გეგმის გადამეტებით მიღებული მეცხოველეობის პროდუქცია. არის ფაქტები, რომ ზოგან არ აფასებენ ამ კანონის მაორგანიზებელ ძალას. ცუდად მოიქცნენ თელავის რაიონის სოფელ ოქიოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში და სოფელ იყალთოს კოლმეურნეობა „წ-თელ სხივში“, როდესაც არ აღრიცხეს დახარჯული შრომადღეები ცალკე კულტურების მიხედვით. მსგავსი მდგომარეობაა ჩოხატაურის რაიონის სოფელ ძირგანახლების ლენინის სახელობის და შუაგანახლების ბერიას სახელობის კოლმეურნეობებში. ჩოხატაურის და თელავის რაიმიწგანების ხელმძღვანელ მუშაკებს მართებთ მეტი ყურადღება მიაქციონ მოსავლის აღრიცხვას ბრიგადებისა და რგოლების მიხედვით.

რა აუცილებელი პირობები უზრუნველჰყოფენ საკოლმეურნეო შემოსავლის სწორად განაწილებას?

საკოლმეურნეო შემოსავლის სწორად განაწილების აუცილებელი პირობაა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა დამზადების გეგმების და ყველა ვალდებულების პირნათლად შესრულება (სესხების დაბრუნება, მარცვლეულის ჩაბარება, ნარჩენების გასტუმრება, ნატურანაზღაურება) და კოლმეურნეობის სტალინური წესდებით დაწესებული საზოგადო ფონდების წესიერი გამოყოფა.

საკოლმეურნეო შემოსავლის სწორად განაწილების აუცილებელი პირობაა აღრიცხვისა და ანგარიშგების საუკეთესოდ დაყენება. კერძოდ კოლმეურნეთა მიერ გამომუშავებული შრომადღეების ზუსტი აღრიცხვა მთელი წლის განმავლობაში და სამუშაოთა ცალკე პერიოდების მიხედვით.

საკოლმეურნეო შემოსავლის სწორად განაწილების აუცილებელი პირობაა მოსავლის, ფულადი შემოსავალ-გასავლის ზუსტი აღრიცხვა. ეს ნიშნავს იმას, რომ განაწილების დროს კოლმეურნეობამ შეამოწმოს — ყველა ნატურალური და ფულადი შემოსავალი აყვანილია თუ არა აღრიცხვაზე, დაიზუსტოს იმ პირთა სია, რომელთაც ანგარიში უნდა გაუსტუმროს.

ბოლოს, საკოლმეურნეო შემოსავლის სწორად განაწილების აუცილებელი პირობაა კოლმეურნეობის ქონების ინვენტარიზაციისა და წლიური ანგარიშების წესიერად შედგენა, რასაც სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს.

შემოსავლისა და მოსავლის დროულად და სწორად განაწილება კოლმეურნეთა შორის შექმნის ახალ სტიმულს მომავალ წელს ბარაქიანი მოსავლის მოსაყვანად. მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის, დიდი სტალინის მიერ კოლმეურნე გლეხობის წინაშე დასახული ამოცანების ბრწყინვალედ შესრულებისათვის.

ი. ბ. სტალინის საუბარი საფრანგეთის მთავრობის მეთაურ გენერალ დე გოლთან

6 დეკემბერს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ი. ბ. სტალინს საუბარი ჰქონდა საფრანგეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის თავმჯდომარე გენერალ დე გოლთან.

საუბარს დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ვ. მ. მოლოტოვი, სსრ კავშირის ელჩი საფრანგეთში ა. ე. ბოგომოლოვი, საფრანგეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ჟ. ბიდო, საფრანგეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის წარმომადგენელი სსრ კავშირში ბ-ნი რ. გარო და საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორი ბ-ნი მ. დეჟანი.

ქრონიკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ნიკოლოზ მიხეილის-ძე ლიფანოვი დანიშნა სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან დესპანად აშშ-ში.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

6 დეკემბრის ოპერატიული ცნობა

6 დეკემბრის განმავლობაში უნგრეთის ტერიტორიაზე ბალატონის ტბახა და მდინარე დუნაის შუა ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც შეტევას განაგრძობენ, ბრძოლებით დაიკავეს 50-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები დუნაპენტელე, რაცალმაში, ხერცეგფალვა, ალაპი, ფეფე, შარ ეგრეში, შიმონტორნია, შარბოგბარდი, სილაშ-ბალბაში, ლაიოშ-კომარომი, ადაჯდი, ბალატონსაბადი და რკინიგზის სადგურები დუნაპენტელე, ნადივენიმი, ხერცეგფალვა, შიმონტორნია, შარბოგბარდი, მეზე-კომარომი. ამავე დროს ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც ბალატონის ტბასა და მდინარე დრავას შუა უტევენ, ბრძოლებით დაიკავეს 40-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ფონიოდი, კერესტური, ბერენი, ბალატონ-უილაკი, კეტელი, მესტენგბე, სენა, სელიცი, კიშ-ფალუდი, კატოშფა, ხოგოშკ-სენტ-დიერდი, კალმანჩა ისტვანდი, დარანი, დრავა-ტბამაში და რკინიგზის სადგურები ფონიოდი, კერესტური, კეტელი, ოიბატაუსტა, სენტ იმრე, ნად-უიფალუ, ჯოშტელიეშ დოგმოგ, დარანი.

3 და 4 დეკემბრის ბრძოლებში უნგრეთის ტერიტორიაზე შკრაინის მე-3 ფრონტის ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს 2.375 გერმანელი და უნგრელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

იუგოსლავიაში მდინარეებს დუნაისა და საბას შუა იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ჯარებმა, რომლებიც ჩვენს ჯარებთან ერთად მოქმედებენ, დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის სადგური შიდი, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს დასახლებული პუნქტები შარენგრადი, მოსოშოვო, ოკატოვაცი, ლუგასი, მალაია ვაშიცა, გიბარენცი, ბაჩინცი, კუკუევცი, კუზმინცი, ალაშევცი, მოროვიჩი და რკინიგზის სადგურები ადაშევცი, მოროვიჩი, ბაჩინცი, კუკუევცი-ერდევიკი.

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ და მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა.

5 დეკემბერს ჩვენმა ჯარებმა დაახვიანეს და მოსპეს გერმანელთა 21 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 15 თვითმფრინავი.

7 დეკემბრის ოპერატიული ცნობა

7 დეკემბრის განმავლობაში უნგრეთის ტერიტორიაზე ბალატონის ტბახა და მდინარე დუნაის შუა ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ და ბრძოლებით დაიკავეს 80-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები აბონი, აბრანფა, ხანტოშა, შარასენტაბოტა, დეზი, ენინგი და რკინიგზის სადგურები აბონი, სილფა, ენინგი. ამავე დროს ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც ბალატონის ტბასა და მდინარე დრავას შუა უტევენ, დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის კვანძი ბარჩი, აგრეთვე დაიკავეს 50-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები სენტ დიერდი, ვერში, ხოლადი, სენიერი, ნად-საკაჩი, კიშ-ბაიომი, ჩეკელი, კადარკუტი, მიკე, ლაბოდი, კუჭველეპი, შოშოდ-ვიშონტა, ერდე-ჩოკონია, კოშკოშჰიდი, კეტერხიდა და რკინიგზის სადგურები ბარდუდვარნიოკი, ლიპოტფა, კადარკუტი, სულოკი, ლაშდი, გერგეტეგი, ჩოკონია, შოშო-დი, არანიეში. ჩვენმა ჯარებმა მთლიანად გაანთავისუფლეს მოწინააღმდეგისაგან ბალატონის სამხრეთი სანაპირო.

6 დეკემბერს უნგრეთის ტერიტორიაზე უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარებმა ტყვედ წაიყვანეს 1.030 გერმანელი და უნგრელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ და მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა.

6 დეკემბერს ჩვენმა ჯარებმა დაახვიანეს და მოსპეს გერმანელთა 38 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 5 თვითმფრინავი.

* * *

უნგრეთში ბალატონის ტბასა და მდინარე დუნაის შუა ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ. გერმანელებს გაფიცებით მოჰყავთ ახალი ძალები ბრძოლების რაიონში. უკანასკნელ დროს უნგრეთში მოვიდნენ გერმანელთა 44-ე და 71-ე ქვეითი დივიზიები იტალიიდან, გერმანელთა 271-ე ქვეითი დივიზია დასავლეთი ფრონტიდან და მთელი რიგი ნაწილები გერმანიიდან დასახლებული დივიზიები ბრძოლებში მონაწილეობენ და უკვე მნიშვნელოვანი ზარალი მოუვიდათ. ტყვეთა შორის, რომლებიც ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს, ბევრი ჯარისკაცი და ოფიცერია გერმანელთა 44-ე, 71-ე და 271-ე ქვეითი დივიზიებიდან. ნ შენაერთის ნაწილებმა, რომლებიც მდინარე დუნის დასავლეთ ნაპირის ასწვრივ უტევენ, დაიკავეს გერმანელთა თავდაცვის დასაყრდენი პუნქტი და რკინიგზის სადგური ადონი, რომელიც 40 კილომეტრზე მდებარეობს ბუდაპეშტის სამხრეთით. ჩვენმა ჯარებმა გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა და დაიკავეს გზების დიდმნიშვნელოვანი კვანძი ენინგი. საბჭოთა მსროლელმა ქვედანაყოფებმა წარმატებით მანევრი მოახდინეს და გაანადგურეს მტრის ქვეითი ჯარის ორი ბატალიონი, რომლებიც ასპის იყო მოვიდნენ ბრძოლის ადგილებში და ვერ მოასწრეს ფლიანად გადმოსულიყვნენ ვაგონებიდან.

ბალატონის ტბასა და მდინარე დრავას შუა ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით წაწიეს წინ 15-მდე კილომეტრით. შემოვლითი მანევრის შედეგად საბჭოთა ნაწილებმა დაიკავეს ქალაქი ბარჩი მდინარე დრავის ჩრდილოეთ ნაპირზე. ჰიტლერელებმა უწესრიგოდ დაიხიეს უკან და ბევრი იარაღი და საჭურველი მიატოვეს. ჩვენმა ნაწილებმა დაიკავეს 9 სარკინიგზო სადგური და ხელთ იგდეს ბევრი ორთქლმავალი, ვაგონი და საწყობი სურსათიანად და სამხედრო მასალიანად. გერმანელთა ყოველი ცდა — კონტრიერიშებით შეეჩერებინათ ჩვენი ჯარების შეტევა, მარცხით დამთავრდა. დღის განმავლობაში გაფლეტილია 1.400-მდე გერმანელი და ოფიცერი ჯარისკაცი და ოფიცერი. გერმანელებს წეპართვით 2 თვითმავალი და 34 საველე ქვემეხი, ავრეთვე დიდძალი ტყვიამფრქვევი, საშხაპი და ავტომატი.

* * *

აღმოსავლეთ პრუსიაში მოწინააღმდეგის მზვერავთა ჯგუფი ღამით ცდილობდა ჩვენი თავდაცვის განლაგებაში შემოეღწია. მეტყვიამფრქვევე ზელენკოვმა დროზე შეამჩნია მტრის მზვერავები და ტყვიამფრქვევის სროლა ატეხა. გერმანელებმა უწესრიგოდ დაიხიეს უკან. განთიადისას ჩვენმა მებრძოლებმა თავიანთი პოზიციების მისადგომებზე დათვალეს ღამის ბრძოლაში მოკლული 20 ჰიტლერელი. მეტყვიამფრქვევე ლუდა თავდაცვის წინაკიდის იქით გავიდა და ხელის ტყვიამფრქვევის ცეცხლით გერმანელი მეტყვიამფრქვევე მოჰკლა. ამხ. ლევდამ, რომელიც მოწინააღმდეგეს უთვალთვალებდა, კიდევ მოჰკლა სამი გერმანელი მეავტომატე.

* * *

ჭალაქ პულტუსკის სამხრეთით მოწინააღმდეგის ქვეითმა ჯარმა ბრძოლით დაზვერვა მოაწყო. ჰიტლერელები დასურილ ადგილებში მალვით ჩვენი თავდაცვის წინაკიდეს უახლოვდებოდნენ. ნ ნაწილის მებრძოლებმა ტყვიამფრქვევისა და ნაღმსატყორცნის ძლიერი ცეცხლი გაახსნეს. ამავე დროს ჩვენმა არტილერიამ ცეცხლის ფარდა შეაჭმნა და უკანდასახევი გზა მოუჭრა მოწინააღმდეგეს. გერმანელთა მზვერავი რაზმი განადგურებულ იქნა. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 80-ზე მეტი გვამი. გარდა ამისა, საბჭოთა არტილერისტებმა ჩაახშეს მოწინააღმდეგის 4 საარტილერიო ბატარეის ცეცხლი, რომელიც ზვერავთა მოქმედებას ეხმარებოდა.

* * *

გერმანელთა 81-ე ქვეითი დივიზიის 189-ე პოლკის 1-ლი ბატალიონის ტყვე ოპერ-ექიმმა ოფიცერმა რაუტერმა განაცხადა: „ჯერ კიდევ შარშან გერმანიის სარდლობამ გამოაქვეყნა ახალი ინსტრუქციები საექიმო სამხედრო-სამედიცინო კომისიებისათვის, ამ ინსტრუქციების თანახმად, საველე ნაწილებში გაწვეულ ყველა იქნან ადამიანები, რომელთაც სერიოზული ფიზიკური ნაკლოვანებანი აქვთ. ოქტომბერში მე ვიყავი 181-ე სარეზერვო ბატალიონის ექიმად. ორი კვირის განმავლობაში ასზე მეტმა ჯარისკაცმა მომმართა თხოვნით — სამკურნალოდ ჰოსპიტალში გაგვგზავნეო. პირადად მე მხოლოდ ოცდაათი კაცის გასინჯვა მოვახერხე. ისინი თითქმის ყველანი უთარგმანო აღმოჩნდნენ სამხედრო სამსახურისათვის ზურგში და მით უმეტეს ფრონტზე. მათ შორის იყვნენ გულის მანკიანი და კუჭის წყლულიანი ადამიანები. რამდენიმე ჯარისკაცს ძველი ჭრილობები გაეხსნა. მიუხედავად ამისა, მე ინსტრუქციებით ვიხელმძღვანელე და ყველა ეს ჯარისკაცი მწყობრში დავტოვე. გერმანიის სარდლობამ ექიმებს მკაცრი მითითება მისცა — სიმულანტები გამომაქვეყნეთო. ვინაიდან სიმულანტი მეტად ბევრია, ხოლო ავადმყოფები კიდევ უფრო მეტი, ექიმს არავითარი საშუალება არა აქვს სიმულანტი ავადმყოფისაგან გაარჩიოს. ექიმები გაწურჩევლად ყველას უკანვე, სანგრებში გზავნიან“.

დასასრულ ტყვემ განაცხადა: „დაჭრილ ჯარისკაცებს ახლა ისე უცქერიან, როგორც ზედმეტ ბარგს. როდესაც მე 189-ე პოლკში 1-ლი ბატალიონის ექიმის თანამდებობაზე მივედი, მე მიმიღო პოლკის მეთაურმა — პოლკოვნიკმა მაიერმა მან მითხრა, ბრძოლის პირობებში, შენ ვერ მოახერხებ ჯარისკაცებს რაიმე საექიმო დახმარება გაუწიო სატრანსპორტო საშუალებათა უქონლობისა და სანიტრების უყოლობის გამო. გერმანელთა ჯარების უკანდახევისას დაჭრილებს ბედის ამარად ატოვებენ“.

ავიაციის მარშალ თ. ი. ფალალეევს გადაეცა მარშლის განმასხვავებელი ნიშანი „მარშლის ვარსკვლავი“

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ამხ. ნ. მ. შვერნიკმა გუშინ, 7 დეკემბერს, კრემლში მარშლის განმასხვავებელი ნიშანი „მარშლის ვარსკვლავი“ გადასცა ავიაციის მარშალს თევდორე იაკობის-ძე ფალალეევს.

ამხ. ნ. მ. შვერნიკმა სუვოროვის I ხარისხის ორდენი გადასცა არტილერიის მთავარ მარშალს ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე ვორონოვს და ნიკოლოზ დმიტრის-ძე იაკოვლევს, რომლებიც დაჯილდოებული არიან საბრძოლო ოპერაციების უნარიანი და მამაცური ხელმძღვანელობისათვის და უმაღლესი მთავარი სარდლობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის მოქმედი არმიის ავიაციის და საომარი მასალებით უზრუნველყოფის დარგში. (საკლესი).

სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 3 დეკემბრის ბრძანებულებით მთავრობის სპეციალურ დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის დაჯილდოებულ არიან:

სამამულო ომის I ხარისხის ორდენით:

სახელმწიფო უშიშროების კომისარი ა. ი. გუგუჩია, სახელმწიფო უშიშროების კომისარი ს. ს. დავლიანიძე, სახელმწიფო უშიშროების კომისარი გ. ტ. კარანაძე, სახელმწიფო უშიშროების II რანგის კომისარი ბ. ზ. ჭობულოვი, სახელმწიფო უშიშროების პოლკოვნიკი მ. ნ. კუკუტარია, გენერალ-ლეიტენანტი ნ დ. ლაბაძე, მილიციის III რანგის კომისარი კ. დ. მალრაძე, სახელმწიფო უშიშროების III რანგის კომისარი ს. რ. მილშტეინი, მილიციის III რანგის კომისარი კ. გ. ნაჭყებია, სახელმწიფო უშიშროების კომისარი ი. ი. ნიბლაძე, სახელმწიფო უშიშროების III რანგის კომისარი ა. ნ. რაფავა, სახელმწიფო უშიშროების პოლკოვნიკი ე. ლ. თათუზოვი, სახელმწიფო უშიშროების III რანგის კომისარი შ. ო. წერეთელი, სახელმწიფო უშიშროების პოდპოლკოვნიკი მ. ი. შავგულიძე და სხვ.

სამამულო ომის II ხარისხის ორდენით:

სახელმწიფო უშიშროების პოლკოვნიკი გ. ს. ბერულავა, სახელმწიფო უშიშროების პოლკოვნიკი ი. ნ. გუჯაბიძე, სახელმწიფო უშიშროების პოდპოლკოვნიკი ბ. გ. კაზაჩენკო, სახელმწიფო უშიშროების პოლკოვნიკი მ. გ. ნაცვლიშვილი, პოდპოლკოვნიკი დ. ეფერაძე, პოდპოლკოვნიკი ო. ი. თათიშვილი და სხვ.

წითელი ვარსკვლავის ორდენით:

სახელმწიფო უშიშროების პოლკოვნიკი კ. ა. ასლანიკაშვილი, პოლკოვნიკი ი. პ. ბაბალაშვილი, სახელმწიფო უშიშროების პოდპოლკოვნიკი ა. ე. ვალიშვილი, დ. ვ. გელაშვილი, ნ. ა. გორგაძე, სახელმწიფო უშიშროების მაიორი მ. ა. გრიგოლია, სახელმწიფო უშიშროების მაიორი ა. ე. გურგენიძე, ი. ი. ძებისაშვილი, პოლკოვნიკი ა. მ. დოლიძე, სახელმწიფო უშიშროების პოდპოლკოვნიკი ვ. დ. ზაქარაია, სახელმწიფო უშიშროების პოლკოვნიკი დ. ნ. იმედაძე, სახელმწიფო უშიშროების პოდპოლკოვნიკი მ. მ. კვინტრაძე, გ. ს. კიკნაძე, გ. ვ. კირვალიძე, სახელმწიფო უშიშროების პოდპოლკოვნიკი ი. ო. კობეშავიძე, ი. დ. კოჭლამაზაშვილი, სახელმწიფო უშიშროების მაიორი ნ. ი. ყრუაშვილი, სახელმწიფო უშიშროების მაიორი შ. ნ. მაღრაძე, სახელმწიფო უშიშროების მაიორი ლეიტენანტი გ. ა. ვადაჭკორია, სახელმწიფო უშიშროების კაპიტანი ა. ვ. ოკუჯავა, ლეიტენანტი გ. ი. პავლენკო, სახელმწიფო უშიშროების კაპიტანი გ. ი. რაზმაძე, მაიორი ს. ი. სელოვი, სახელმწიფო უშიშროების მაიორი ვ. ტ. ცაგურია, სახელმწიფო უშიშროების კაპიტანი პ. დ. ჩაჩიბაია და სხვ.

მედლით „სამამაცობისათვის“:

ლეიტენანტი ბ. ა. ზასლავსკი. გერმანული ფაშიზმის მორალურ-პოლიტიკური დამარცხება (მე-2 გვერდი).

ლენინი და სტალინი შრომის დისციპლინის შესახებ (მე-2 გვერდი).

ა. მაჭარაშვილი. როგორ გავანაწილებთ მოსავალს და შემოსავალს (მე-3 გვერდი).

შ. გვინჩიძე. პ. ლ. ჩებიშევი (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ამბები. დეპეშები (მე-4 გვერდი).

მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“

სახელმწიფო უშიშროების მაიორი გ. ვ. ადამია, სპეციალური სამსახურის მამასახლისი ს. ხ. ადიკაშვილი, ლეიტენანტი ნ. ა. აიდინოვი, მილიციის მაიორი გ. ი. ალავიძე, სახელმწიფო უშიშროების პოდპოლკოვნიკი გ. ს. ანანოვი, სახელმწიფო უშიშროების კაპიტანი ვ. ბ. ნიუარაძე, სახელმწიფო უშიშროების კაპიტანი ა. ვ. ანთაძე, სახელმწიფო უშიშროების კაპიტანი დ. ს. ასამბაძე, სახელმწიფო უშიშროების მაიორი ვ. ა. ბოკუჩავა, კაპიტანი ე. ს. ვართანოვი, სახელმწიფო უშიშროების ლეიტენანტი ა. მ. ვაშაკიძე, სახელმწიფო უშიშროების უფროსი ლეიტენანტი დ. გ. გაგუა, სახელმწიფო უშიშროების უფროსი ლეიტენანტი გ. რ. გაჩეჩილაძე, სახელმწიფო უშიშროების მაიორი ა. ნ. ახობაძე, სახელმწიფო უშიშროების მაიორი შ. გ. გვეტაძე, სახელმწიფო უშიშროების კაპიტანი ი. ს. გოკიელი, სახელმწიფო უშიშროების უფროსი ლეიტენანტი მ. მ. გუჩმაზიშვილი, სახელმწიფო უშიშროების კაპიტანი ტ. ა. დავითულიანი, სახელმწიფო უშიშროების უფროსი ლეიტენანტი ვ. ნ. დოლიძე, მილიციის პოლკოვნიკი დ. ს. დუნდუა, სახელმწიფო უშიშროების მაორი გ. გ. ისაშვილი, სახელმწიფო უშიშროების უფროსი ლეიტენანტი ა. ს. ჭარსელიშვილი, სახელმწიფო უშიშროების უმცროსი ლეიტენანტი ე. ვ. შავგულიძე, სახელმწიფო უშიშროების კაპიტანი ი. ვ. შავდია, სახელმწიფო უშიშროების უფროსი ლეიტენანტი ე. ა. იაკობიძე და სხვ.

ლეიტენანტი რ. ე. ჭურციკიძე, სახელმწიფო უშიშროების უფროსი ლეიტენანტი გ. ა. ჭუთათელაძე, უმცროსი ლეიტენანტი შ. ლ. მამისაშვილი, მამასახლისი შ. ი. მამნიაშვილი, სახელმწიფო უშიშროების კაპიტანი გ. პ. მანჯგალაძე, სახელმწიფო უშიშროების კაპიტანი ა. ი. მაცუკაშვილი, ლეიტენანტი ზ. გ. მაჩაბელი, სახელმწიფო უშიშროების კაპიტანი ბ. ნ. მელაშვილი, სახელმწიფო უშიშროების უფროსი ლეიტენანტი ე. ი. მოდებაძე, სახელმწიფო უშიშროების მაიორი ხ. ა. მუჯირი, სახელმწიფო უშიშროების მაიორი ი. პ. ნიკოლეიშვილი, ვ. ხ. ნუნუნიაკვი, მაიორი დ. კ. ოდიშარია, სახელმწიფო უშიშროების კაპიტანი გ. ა. ონიანი, სახელმწიფო უშიშროების მაიორი შ. მ. ფუთურიძე, სახელმწიფო უშიშროების კაპიტანი ნ. გ. სამხარაძე, მილიციის პოლკოვნიკი გ. ნ. სარუხანიშვილი, სახელმწიფო უშიშროების უმცროსი ლეიტენანტი ტ. ვ. სიხარულიძე, სახელმწიფო უშიშროების მაიორი შ. ნ. ხტურუა, კაპიტანი ი. დ. სურმავა, სახელმწიფო უშიშროების მაიორი რ. ლ. თათუზოვი, სახელმწიფო უშიშროების კაპიტანი ბ. მ. ხარაბაძე, მილიციის მაიორი ვ. ე. ხარაიძე, სახელმწიფო უშიშროების ლეიტენანტი ი. ე. შავგულიძე, სახელმწიფო უშიშროების კაპიტანი ი. ვ. შავდია, სახელმწიფო უშიშროების უფროსი ლეიტენანტი ე. ა. იაკობიძე და სხვ.

მოსკოვს ჩამოვიდნენ პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის წარმომადგენლები

6 დეკემბერს მოსკოვს ჩამოვიდნენ კრაიოვა რადა ნაროდოვას თავმჯდომარე ბ-ნი ბერუტი, პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის თავმჯდომარე ბ-ნი ოსუბკა-მორავსკი, გენერალ-პოლკოვნიკი როლია-ჟიმერსკი ჩამოსულთ ვაგზალზე შეხვდნენ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ვ. გ. დეკანოზოვი, სახალხო კომისარიატისა და თავდაცვის სახალხო კომისარიატის პასუხისმგებელი თანამშრომლები, აგრეთვე საბჭოთა მთავრობასთან პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის წარმომადგენლის მოვალეობის შემსრულებელი ენდრიხოვსკი.

მოსკოველ კომპოზიტორთა მონაწილეობა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მუსიკის დეკადაში

მოსკოვი, 5 დეკემბერი. (საკლესი). 4 დეკემბერს თბილისს გაემგზავრა მოსკოვის, ლენინგრადისა და ყაზანის კომპოზიტორებისა და მუსიკის მცოდნეების დიდი ჯგუფი ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მუსიკის დეკადაში მონაწილეობის მისაღებად.

დეკადაში მონაწილეობას ითასზე მეტი კაც

საბჭოთა იმიერპოლარეთის გმირული დაცვა

საბჭოთა ხალხი დიდი კმაყოფილებით წაიკითხავს დღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას მედლის „საბჭოთა იმიერპოლარეთის დაცვისათვის“ დაწესების შესახებ. ეს მეშვიდე მედალია წარჩინების ამ ნიშანთა თანავარსკვლავედში, რომლებიც დაწესებულია თავდაცვაში თვალსაჩინო გმირობისა და სიმტკიცის გამოჩენისათვის. მეღლით „საბჭოთა იმიერპოლარეთის დაცვისათვის“ დაჯილდოებული იქნება წითელი არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტისა და შინსაბჭომის ჯარების ყველა სამხედრო მსახური, აგრეთვე სამოქალაქო მოსახლეობის პირნი, რომლებიც უშუალოდ იღებდნენ მონაწილეობას თავდაცვაში.

მედლის „საბჭოთა იმიერპოლარეთის დაცვისათვის“ დაწესებამ ემთხვევა ღირსსახსოვარ თარიღს დიდი სამამულო ომის ისტორიაში— მოსკოვთან გერმანელ დამპყრობთა განადგურების დაწყების სამი წლისთავს. 1941 წლის 6 დეკემბერს წითელი არმია თავისი ბელადისა და მხედართმთავრის ბრძანებით გადავიდა კონტრშეტევაზე და ისე დაარტყა გერმანელთა ურდოებს, რომ განადგურებულ იქნა ორიოდე მათი დაჯგუფება, რომლებიც ცდილობდნენ მარწუხში მოეშწყვიდათ ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი. გერმანელებმა უწესრიგოდ დაიხიეს მოსკოვიდან და 6 დეკემბრიდან 10 დეკემბრამდე მარტო მოკლულთა სახით 30 ათასზე მეტი კაცი დაჰკარგეს. მედალი „მოსკოვის დაცვისათვის“ წარჩინებულ ხდის ამ ისტორიული ომების მონაწილეებს.

იმიერპოლარეთის გმირული დაცვა ჩვენი ხალხის ისტორიაში შეავა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ბრწყინვალე, ყველაზე დასამახსოვრებელი ფურცელი.

აქ მტერი შეჩერებულ იქნა 1941 წლის შეიდღეღამეზე. აქ მდებარეობს უბანი, სადაც მტერმა მთელი ომის განმავლობაში ვერ მოახერხა გადმობიბილებინა ჩვენს სახელმწიფო საზღვარზე.

როცა საბჭოთა კავშირზე თავიანთ ეერაგულ თავდასხმას იწყებდნენ, გერმანელი მმართველები ჩრდილოეთში ოცნებობდნენ ელვისებური დარტყმით გაეყრდნობინათ ჩვენი ჯარები, დაეკავებინათ მურმანსკი, გამოეყენებინათ თეთრ ზღვაზე და ამით წაერთმიათ ჩვენთვის დიდმნიშვნელოვანი კომუნიკაცია, რომელიც აკავშირებს სსრ კავშირს ჩვენს მოკავშირეებთან. თავიანთი გეგმების განსახორციელებლად გერმანელებმა ჩრდილოეთში გადაისროლეს დამკვრელი ნაწილები, რომლებსაც სპეციალური მომზადება ჰქონდათ გავლილი მთიან ადგილებში სამოქმედოდ. მათ გადაიტანეს იქ დიდი რაოდენობის ავიაცია.

გერმანიის სარდლობა მხედველობაში იღებდა თავისი სახმელეთო და საჰაერო ძალების უპირატესობას, აგრეთვე თავდასხმის ეფექტურობას და ემზადებოდა იოლი გასეირნებისათვის, მაგრამ სასტიკად მოტყუდა. გერმანელებმა მხოლოდ რამდენიმე კილომეტრი განვლეს, და ისეთ წინააღმდეგობას შეხვდნენ, რომელმაც აიძულა ისინი შეჩერებულიყვნენ, შემდეგ კი ერიდან ჩაეყენებინათ ბრძანება. სულ რაღაც ოთხმოციოდე კილომეტრი აშორებდა მათ მურმანსკს, მაგრამ ნაქებმა გერმანელმა ეგერებმა მაინც ვერ შესძლეს ამ მანძილის გადალახვა. ჰაერიდან ეერიშებმაც ვერ მიაღწია მიზანს. ვერც ერთი ჩვენი ბაზა ვერ გამოიყენეს მწყობრიდან.

დამარცხება რომ განიცადეს და სახმელეთო ოპერაციების შემდგომი წარმატების იმედი დაჰკარგეს, გერმანელებმა მთელი თავიანთი ყურადღება ზღვაზე გადაიტანეს, ცდილობდნენ გაეწყვიტათ საზღვაო კომუნიკაციები, რომლებიც გვაკავშირებდა მოკავშირეებთან. გერმანიის ფლოტის ავიაცია, წყალქვეშა ნავები და დიდძალი წყალზედა გემები ჩაუსაფრდნენ ხომალდთა ქარავნებს, რომლებიც მოდიოდნენ ინგლისიდან და შეერთებული შტატებიდან მურმანსკსა და არხანგელსკში. აქ გამოჩნდნენ გერმანელთა სახაზო გემები „ადმირალი ტირპიცი“, „შარნჰორსტი“, კრეისერები, ნაღმოსნები. მათ ბაზად შეარჩიეს დვომისათვის მოხერხებული ჩრდილოეთ ნორვეგიის ფიორდები და როგორც ვეშაპების ხროვა, ისე ესხმოდნენ თავს საბჭოთა კავშირში მომავალ გემთა ქარავნებს.

სამ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ბრძოლა ჩვენი ჩრდილოეთის კომუნიკაციების დასაცავად წარმოადგენს ჩრდილოეთის ფლოტის მეზღვაურთა სახელოვან გმირობას. ზამთარში, ხანგრძლივ პოლარულ ღამეში, როცა ზღვაში არაფერი არა სჩანს, და ზამეხულში, როცა, პირიქით, მზე არ ჩადის, ასრულებდნენ ისინი თავიანთ საბრძოლო ვახტს, ხვდებოდნენ და ზღვით მომავალ ქარავნებს და იცავდნენ მათ მტრის გემებისა და ავიაციის თავდასხმისაგან. სწორედ აქ, ჩრდილოეთში, საბჭოთა წყალქვეშა ნავმა საბჭოთა კავშირის გმირ ლეონინის მეთაურობით იერიში მიიტანა გერმანიის სახაზო გემ „ტირპიცზე“ და ისე დაახვრიტა, რომ რამდენიმე თვით იგი მწყობრიდან გამოვიდა. აქ მოქმედებდნენ ჩრდილოეთის ზღვის ჩვენი სახელგანთქმული მფრინავები—ორეზის საბჭოთა კავშირის გმირი საფონოვი და ასობით სხვები. თავიანთ სახმელეთო მანქანებით ისინი ებრძოდნენ გერმანელებს ზღვაზე, იგერიებდნენ მათ თავდასხმას გემებზე. ეერავითარი სიძნელე ვერ აკავებდა ჩვენს მფრინავებს გაფრენისაგან. ინგლისელმა მფრინავმა, ლენინის ორდენის კავალერმა, პოლკოვნიკმა ოშერვუდმა, რომელიც თვითონ იბრძოდა ჩრდილოეთში, განაცხადა, რომ „აქ მხოლოდ რუსებს შეუძლიათ ფრენა“. საბჭოთა მეზღვაურების დაცვით გემები უვნებლად აღწევდნენ დანიშნულების ნავსადგურებს.

საბჭოთა მეზღვაურები და მფრინავები იცავდნენ თავიანთ კომუნიკაციებს და ულმობლად ანადგურებდნენ მტერს როგორც ხმელეთზე, ისე ზღვაზე, განუწყვეტლივ ხდებოდა თავდასხმები მოწინააღმდეგის ქარავნებზე ჰაერიდან და წყლიდან, თავდასხმები მის ნავსადგურებსა და ბაზებზე. მტრის 600-მდე გემი ჩაძირულ იქნა ზღვაში. სამი წლის ომის განმავლობაში მარტო ექვსმა ჩვენმა წყალქვეშა ნავმა ჩაძირა გერმანელთა 73 გემი. საბჭოთა მეზღვაურების სახელოვანმა საბრძოლო მოქმედებამ ჩვენი მთავრობის მხრივ მაღალ შეფასება მიიღო. ჩრდილოეთი ზღვის 79 მეზღვაურმა მიიღო საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, 20 ათასზე მეტი ორდენი და მედალი გადაეცა იმიერპოლარეთის მეზღვაურებს. ფლოტის 20-ზე მეტ გემსა და ნაწილს მიენიჭა მაღალი წარჩინება—ან გარდაქმნილი არიან გვარდიულებად, ან დაჯილდებული არიან ორდენებით.

ურღვევი იყო თავდაცვა ხმელეთზე. იმიერპოლარეთის გმირებს—კარელიის ფრონტის მებრძოლებს მტერი მუდმივად დაძაბულ მდგომარეობაში ჰყავდათ. მტერი უკვე აღარ ოცნებობდა ჩვენი ნავსადგურებისაკენ, ბაზებისაკენ წინსვლაზე. იგი გაფაციცებით ებღაუჭებოდა მიწას, ცდილობდა თავი შემოეფარგლა დანაღმული მინდვრების, მავთულლობურების, ქვის ყორეების ხშირი ქსელით, ბეტონირებული სიმაგრეების ქსელით. მაგრამ ამან ვერ იხსნა გერმანელები განადგურებისაგან.

„...ამ წლის ოქტომბრის დამლევს განხორციელებულ იქნა დარტყმა გერმანიის ჯარების წინააღმდეგ ჩრდილოეთ ფინეთში, რომლებიც გერმანიის ჯარების გარეკილ იქნენ პეჩენგის რაიონიდან და ჩვენი ჯარები, სდევნიდნენ რა გერმანელებს, ჩვენი მოკავშირე ნორვეგიის ფარგლებში შევიდნენ“. (ჩერჩილი).

გერმანელების განადგურება ჩრდილოეთში საბჭოთა სარდლობის ღრმა ნაზრევის, ჩვენი ოფიცრების მაღალი ოსტატობისა და რიგითი შემადგენლობის თავდადებული მამაცობის შედეგია, ისინი ჩვენი ტექნიკის საბრძოლო ძლიერებას უხმობდნენ ჩინებულად შესრულებულ მანევრს, მუდმივად აყენებდნენ მტერს გარშემორტყმის, მარწუხში მომწყვდევის, ხიფათიდან დარტყმის საფრთხეში. აქ, ტუნდრაში, სრული უგზოობის პირობებში, მთელი კორპუსები ახდენდნენ გადასვლებს, რომელთა ბადალი ცოტა მოიპოვება ისტორიაში. ექვს დღეს ჩვენი მებრძოლები სწრაფად მიიწევდნენ წინ ტუნდრით. ვერც ჭაობებმა, ვერც მდინარეებმა, ვერც წვიმამ და თოვლმა ვერ შეაჩერა მათი მარში. უეცრად ატყდებოდნენ თავს მტერს ზურგიდან და აიძულებდნენ მას სასწრაფოდ დაეხია უკან, მიეტოვებინა ტექნიკა და საჭურველი. მრავალი ჰიტლერელი დარჩა საშუალოდ ამ მიწაში, რომელზეც ათ ოთხმ წლის წინათ ფეხი შემოსდგეს როგორც გამოჯანსაღებულები დამპყრობლებმა. ლაშქრობა ტუნდრაში—ეს თავისთავად გმირობაა, რის გამოჩენაც შეუძლია მხოლოდ საბჭოთა მეომარს, რომელიც უსაზღვროდ ერთგულია თავისი მხედრული მოვალეობისა, თავისი სამშობლოსი.

მრავალ ათას ადამიანს მიენიჭება მაღალი მამაცობის, ვაჟკაცობისა და გმირობის ნიშანი —მედალი „საბჭოთა იმიერპოლარეთის დაცვისათვის“. იგი იქნება მაღალი ჯილდო და აღფრთოვანებს ჩვენს ადამიანებს ახალი საგმირო საქმეებისათვის. მტერი ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არის განადგურებული. მტრის წყალქვეშა ნავები ჯერ კიდევ გამოჩნდებიან ხოლმე ყინულოვანი ოკეანის წყლებში. მათ წინააღმდეგ ბრძოლა უნდა იყოს დაუნდობელი, შეუბრალებელი და განუწყვეტელი. საბჭოთა იმიერპოლარელებმა განდევნეს მტერი ხმელეთიდან, განდევნეს იგი ნორვეგიის ჩრდილოეთ ნაწილის ბაზებიდან, იგი სამუდამოდ და საბოლოოდ უნდა გავდევნოთ ზღვიდან.

დღეს ჩვენი ქვეყანა მიესალმება საბჭოთა იმიერპოლარეთის დაცვის სახელოვან გმირებს, რომლებმაც მტკიცედ და მამაცურად შეასრულეს უმაღლესი მთავარსარდლის ამხანაგ სტალინის ბრძანება!

„პრავდის“ 6 დეკემბრის მოწინავე

სამამულო ომის სახელოვანი მეომარნი

მიხეილ ავაღიანი

ომამდე მთვარე ხან ლრუბლებს მოეფარება, ხან ერთი წუთით გამოიხედავს და მკრთალ შუქს მოჰფენს მიდამოს.

უხმოდ მიიპარებიან მტრის წინა კიდისაკენ მზვერავები. ისინი ოსტატურად ეხამებიან მთვარის შუქს და ადგილმდებარეობის რელიეფს. აი მტრის დანაღმული ველიც. ოფიცერმა გასცა ბრძანება გასაელელის გაკეთების შესახებ. სულ ცოტე ხანში ბრძანება შესრულებულია. მზვერავთა ჯგუფი გაჰქრა წყვდიადში.

გერმანელთა ტრანშეა. მიწური. მაბლობლად გუშაგი დგას. მზვერავებმა სწრაფად მოუღეს ჰას ბოლო. ოფიცერი ძლევა ბრძანებას: „დაარტყით საზიზღრებს!“ — და პირველი სტყორცნის მიწურს გრანატს. მას მიჰყვებიან პომომარევი და ავალიანი. მიწურში ცოცხალი არაეინ დარჩენილა. მზვერავებმა ამოცანა შეასრულეს.

აქეთ-იქიდან გერმანელებმა ტყვიამფრქვევებს უწესრიგო სროლა ატეხეს. მზვერავებმა სწრაფად გადმოიარეს ფრონტის ხაზი და თავიანთ ხაფრილში დაბრუნდნენ.

ქვეით მზვერავთა ოცეული მიდიოდა ჩვენი საბრძოლო წყებების წინ და გულმოდგინედ ათვალიერებდა მიდამოს. გერმანელები, რომლებსაც წინა ღამეს ჩვენმა მებრძოლებმა ძლიერი დარტყმით დაატყვევებინეს დასახლებული პუნქტი, სწრაფად იხევდნენ უკან და ცდილობდნენ მდინარეზე გადასვლას.

მზვერავთა ოცეულს დაევალებული ჰქონდა დაეკავებინა გადასასვლელი და საშუალება მიეცა ჩვენი ნაწილებისათვის ფეხი მდინარეზე გაედგათ მტრის.

ბუჩქნარებში ხან ხოხვით, ხან გადარბენით, მზვერავები მიუახლოვდნენ მდინარეს. გერმანელები ხიდს უკვე ასაფეთქებლად ამზადებდნენ. საჭირო იყო მათთვის ხელის შეშლა.

ჩვენმა მებრძოლებმა ერთ ადგილას მდინარეზე ფონი ნახეს, გაეხედნენ წყალში და მიუახლოვდნენ ხიდს. ხიდთან მდგომი გერმანელთა ჯგუფი შესდგებოდა ოცეულისაგან, რომელსაც ორი ტყვიამფრქვევი და ზარბაზანი ჰქონდა. ცოტა მოშორებით იდგა ოთხი ნაღმსატყორცნისაგან შემდგარი ბატარეა, რომლის ლულები პირდაპირ ხიდს უმიზნებდნენ.

მზვერავები ორად გაიყვნენ, ხუთი მათგანი მიეპარა ბატარეას და გრანატები სტყორცნეს, თან ავტომატები დაუშინა. მოულოდნელობით



თავზარდაცემულმა გერმანელებმა წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს და ჩვენებმა ისინი ერთბაშად გაჟლიტეს, ერთი ნაღმსატყორცნი დაიზიანეს, დანარჩენი ვარგისები ჩაიგდეს ხელში.

სანამ ერთი ჯგუფი ბატარეას უსწორდებოდა, მზვერავებმა ავალიანმა, ქიქნიმა, ზარიანმა და ტრიფონოვმა ფლანგიდან დაარტყეს ხიდთან მყოფ გერმანელებს.

ორიოდე წუთში ყველაფერი დამთავრებული იყო. მზვერავებმა მოაბარუნეს ნადავლი ნაღმსატყორცნები მტრისაკენ და დაუშინეს მას ცეცხლი.

ფაშისტებმა სცადეს დაეარგუნა პოზიციის დაბრუნება. ორი საათის განმავლობაში იერიშებდნენ გმირი მზვერავები მათს კონტრიერიშებს, სანამ ჩვენი ნაწილები მოვიდოდნენ.

მზვერავები გზატკეცილთან იყვნენ ჩასაფრებული. „მოვენე“ სპორდებოდათ და გერმანელები ცეცხლის გამოკვლას ელოდნენ. გამოჩნდნენ კიდეც: რახრახით ახლოვდებოდა ორი დროგა, რომლებზეც ოქტო 10-მდე გერმანელი. მზვერავები ამოხტნენ თავშესაფრიდან და დროგები გაანიერეს. მზვერავი ხრებტოვი ყველაზე სწრაფი დროგაში მჯდომ ერთ გერმანელს, ავალიანმა აიტაცა იგი და ბუჩქებში გააჭრა. გერმანელებმა სროლა ატეხეს, მაგრამ მებრძოლმა ტრიფონოვმა გრანატი სტყორცნა და ყველაფერი კვამლში და მტვერში გაეხვია. მზვერავებმა ისარგებლეს ამით და მიეფარნენ.

ხიფათითა და გმირობით აღსავსე სამი წლის საფრონტო ცხოვრებამ მტკიცედ დააკავშირა ურთიერთს მზვერავები ვასია პოდმარკოვი, ეროსი ხრებტოვი, ტოლია ტრიფონოვი, ბაბუშკინი და მიხეილ ავალიანი. „დიდხანს ვიცნობდი ამათ გულად მეომართან ერთად დავეხეტებოდი ფრონტის ხაზებს შორის, ვიღებდი ენას, ვებრძოდი მტერს ხმელეთზე, ზღვასა და ჰაერში,—სწერს ავალიანის მახლობელი მეგობარი ლეიტენანტი ვ. პოდმარკოვი,—მაშინ მკაცრი და მოუკარებელი მეგონა. მაგრამ თურმე მკლავი ბოდი, აქ ადამიანის გამოსაცნობად საკმარისი ერთხელ წახედე მასთან საბრძოლო დავალების შესასრულებლად, რომ მაშინვე გამოჩნდეს ის თვისებები, რომლებსაც ადამიანში ორჯერ და სამჯერ ეეძებ. ამ ომის კარგი და ავი თვისებები. ამ ომის განუშორებელი მეგობრები ვართ. ავალიანი ვამაყობთ არა მარტო ჩვენ, მისი მეგობრები, ავალიანით ამაყობს მთელი ჩვენი პოლკი, რომორც მამაცი უნარიანი მზვერავით. მის სამხირო საქმეებს იცნობენ მეზობელი შენაერთები. მასთან არ გვქონია წასვლა, რაც უნდა ძნელი დავალება იყოს“.

მიხეილ ვლადიმერის-ძე ავალიანი დაიბადა 1920 წელს თბილისში. 1938 წელს დაამთავრა საშუალო სასწავლებელი, 1939 წელს გაწვეულ არმიაში.

მამაცი მზვერავი უფროსი სერჟანტი მიხეილ ავალიანი დაჯილდოებულია წითელ ვარსკვლავის ორდენით, სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენით და ორი მედლით „მამაცობისათვის“.

მიხეილ ავალიანი ახლა მტრის ტერიტორიაზე იბრძვის ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ნინო მგველიძე

ავთანდილ საღარეიშვილი

1941 წლის ივნისში, როცა გერმანელ ფაშისტთა ურდოები ჩვენს ქვეყანას ავაზაკურად თავს დაესხნენ, ავთანდილ საღარეიშვილი ლატვიაში იყო. ამ მრისხანე დღეებში ახალგაზრდა პატრიოტი, აღზრდილი საბჭოური წესით ბედნიერ პირობებში, ცოდნასა და ენერგიით სავსე, ფრონტზე გაემართა. ის ბრძოლის პირველ დღეებში ებრძოდა მტერს ლატვიის ტერიტორიაზე, ხოლო 1941 წლის ნოემბრიდან ლენინგრადის ფრონტზე.

ავთანდილ საღარეიშვილი დაჯილდოებულ იქნა სამამულო ომის 1-ლი ხარისხის ორდენით.

საფრონტო გაზეთის ფურცლებზე ალწერილია ა. საღარეიშვილის საბრძოლო ეპიზოდი.

წერილში სათაურით: „შეტევითი ბრძოლების მეთოდი“ — ვკითხულობთ:

„ვერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ყოველი დღე ამრავლებს მამაც მეომარ არტილერისტთა რიცხვს, რომელნიც ბრძოლის ველზე საგმირო საქმეებს სჩადიან. გამბედაობა, გულადობა, მაღალი პატრიოტიზმი, მხედრული ოსტატობა და მოსაზრებულობის გამოვლენა ელოდნენ. გამორჩეულ ქიქნიძეა: რახრახით ახლოვდებოდა ორი დროგა, რომლებზეც ოქტო 10-მდე გერმანელი. მზვერავები ამოხტნენ თავშესაფრიდან და დროგები გაანიერეს. მზვერავი ხრებტოვი ყველაზე სწრაფი დროგაში მჯდომ ერთ გერმანელს, ავალიანმა აიტაცა იგი და ბუჩქებში გააჭრა. გერმანელებმა სროლა ატეხეს, მაგრამ მებრძოლმა ტრიფონოვმა გრანატი სტყორცნა და ყველაფერი კვამლში და მტვერში გაეხვია. მზვერავებმა ისარგებლეს ამით და მიეფარნენ.

ხიფათითა და გმირობით აღსავსე სამი წლის საფრონტო ცხოვრებამ მტკიცედ დააკავშირა ურთიერთს მზვერავები ვასია პოდმარკოვი, ეროსი ხრებტოვი, ტოლია ტრიფონოვი, ბაბუშკინი და მიხეილ ავალიანი. „დიდხანს ვიცნობდი ამათ გულად მეომართან ერთად დავეხეტებოდი ფრონტის ხაზებს შორის, ვიღებდი ენას, ვებრძოდი მტერს ხმელეთზე, ზღვასა და ჰაერში,—სწერს ავალიანის მახლობელი მეგობარი ლეიტენანტი ვ. პოდმარკოვი,—მაშინ მკაცრი და მოუკარებელი მეგონა. მაგრამ თურმე მკლავი ბოდი, აქ ადამიანის გამოსაცნობად საკმარისია ერთხელ წახედე მასთან საბრძოლო დავალების შესასრულებლად, რომ მაშინვე გამოჩნდეს ის თვისებები, რომლებსაც ადამიანში ორჯერ და სამჯერ ეეძებ. ამ ომის კარგი და ავი თვისებები. ამ ომის განუშორებელი მეგობრები ვართ. ავალიანი ვამაყობთ არა მარტო ჩვენ, მისი მეგობრები, ავალიანით ამაყობს მთელი ჩვენი პოლკი, რომორც მამაცი უნარიანი მზვერავით. მის სამხირო საქმეებს იცნობენ მეზობელი შენაერთები. მასთან არ გვქონია წასვლა, რაც უნდა ძნელი დავალება იყოს“.

მიხეილ ვლადიმერის-ძე ავალიანი დაიბადა 1920 წელს თბილისში. 1938 წელს დაამთავრა საშუალო სასწავლებელი, 1939 წელს გაწვეულ არმიაში.

მამაცი მზვერავი უფროსი სერჟანტი მიხეილ ავალიანი დაჯილდოებულია წითელ ვარსკვლავის ორდენით, სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენით და ორი მედლით „მამაცობისათვის“.

მიხეილ ავალიანი ახლა მტრის ტერიტორიაზე იბრძვის ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ნინო მგველიძე

ბავშვთა დასვენება ზამთრის სასკოლო არდადეგების დროს

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს სამდივნომ წინადადება მისცა პროფკავშირულ ორგანიზაციებს ზამთრის სასკოლო არდადეგების დროს — 1945 წლის 1-დან 10 იანვრამდე — მოაწყონ საახალწლო ნაძვის ხეები და დღესასწაულები. ყველა კლუბი და კულტურის სახლები დათმობილ უნდა იქნას ღილების, კონცერტების, წითელ არმიის მებრძოლებთან და მეთაურებთან — სამამულო ომის მონაწილეებთან, სტახანოველებთან, მეცნიერებთან, მწერლებთან და არტისტებთან მოსწავლეთა შეხვედრის მოსაწყობად. არდადეგების დროს მოეწყობა საერთო-საქალაქო საახალწლო ნაძვის ხეები და საბავშვო დღესასწაულები მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, მინსკში, თბილისში, ტალინში, ვილნიუსში, რიგაში, პეტროზავოდსკში, ულიანოვსკში, მურმანსკში, ოდესასა და სხვა ქალაქებში.

დიდ საწარმოებთან გაიხსნება გამაჯანსაღებელი მოედნები 45 ათასი ბავშვისათვის, 5 ათასი ბავშვი იგზავნება პროფკავშირთა დასასვენებელ სახლებსა და სანატორიუმებში.

სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სახსრებიდან საერთო-საქალაქო ნაძვის ხეებისა და დღესასწაულების მოსაწყობად გადადებულია 1,625 ათასი მანეთი. (საკვლისი).

მოსკოვს ჩამოვიდა მწერალი მ. ანდერსენ ნექსე

7 დეკემბერს ლენინგრადიდან მოსკოვს თავის ოჯახისანად ჩამოვიდა ცნობილი დანიელი მწერალი მარტინ ანდერსენ ნექსე.

ოქტომბრის სადგურზე მოსულს შეხვდნენ უცხოეთთან კულტურული კავშირის სრულიად-საკავშირო საზოგადოების („ვოკსის“) თავმჯდომარის მოადგილე ალხ. კარაგანოვი, მწერლები ნ. ტიხონოვი, კ. ფედინი, ვს. ივანოვი, საბჭოთა მწერლების კავშირის პასუხისმგებელი მდივანი დ. პოლიკარპოვი და სხვები.

მახლობელ დღეებში მარტინ ანდერსენ ნექსე შეხვდება დედაქალაქის ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს. (საკვლისი).

გერმანული ფაშიზმის მორალურ-პოლიტიკური დამარცხება

ჩვენ მოვისმინეთ ამხანაგ სტალინის სიტყვები: „გაერთიანებული ერები ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომის ძლევამოსილი დაგვირგვინების წინაშე დგანან.

გერმანიასთან ომს გაერთიანებული ერები მოიგებენ, — ეს ახლა უკვე სიფხიზით უეჭველია“.

ჩვენ მოვისმინეთ ამხანაგ სტალინის სიტყვები: „გერმანიის დამარცხების შემდეგ იგი, რა თქმა უნდა, განიარაღებულ იქნება, როგორც ეკონომიურად, ისე სამხედრო-პოლიტიკური მხრივ“.

ჰიტლერული არმია გადამწყვეტს ბრძოლებში მთლიანად იქნება მოსპობილი. ჰიტლერელები გაჰკიეან „1918 წელი“ არ განმეორდებაო. დიახ, იგი არ განმეორდება. 1918 წელს იმპერიალისტური გერმანიის მეთაურებმა საშუალება მოიპოვეს შეენარჩუნებინათ გერმანიის არმიის მეთაურთა და ოფიცერთა კადრები, გადაერჩინეს თავიანთი გენერალური შტაბი, თავიანთი სამხედრო-პოლიტიკური ცენტრები. ამან საშუალება მისცა მათ დაეყოვნებლივ დაეწყოთ მზადება ახალი რბისათვის შეიარაღებული ერების წინააღმდეგ.

გერმანიის იმპერიალისტური არმიის განიარაღება 1918 წელს მნიშვნელოვანწილად ფიქცია იყო. ჰიტლერული გერმანიის დამარცხების შემდეგ მოსპობილ იქნება ფაშისტური არმია არა თუ მთელი სამხედრო ტექნიკა, არამედ სამხედრო შრეშეელობაც ყველა სახეობისა — ჭარხნები, რომლებიც საჭიროებს ამზადებენ და სამეცნიერო დაწესებულებანი, რომლებიც ახალ მომაკვდინებელ სახის საბრძოლო იგონებენ.

ჰიტლერული გერმანიის განიარაღება მოხდება ჰიტლერული სახელმწიფოს მოსპობასთან ერთად. უნდა დაიმსხვრეს და დამსხვრეულ იქნება კიდეეც ჰიტლერული ავაზაკური ბუდის მთელი სახელმწიფო აპარატი — ჰიტლერული მთავრობის ბრით არსებული ყველა ბუნაგი, ფაშისტური სადამრბევო თვითხებობის ყველა ცენტრალური და ადგილობრივი ორგანო, ყველა ადგილი, სადაც ჰიტლერელები არეგვენებდნენ ხალხს, რყვნიდნენ მას დაუსჯელი ქაოსმკვლელობის თავისი პროპაგანდით.

ჰიტლერული პარტია ჰიტლერული სახელმწიფო აპარატის ძირითადი ნაწილია. იგი უნდა მოისპოს და მოსპობილი იქნება მთლიანად, მთელი თავისი ნაირსახეობებიანად, მთელი თავისი განშტოებებიანად. ახალგაზრდობის ფაშისტური ორგანიზაციები ისევე უნდა იქნან მოსპობილნი, როგორც ფაშიზმის ვეტერანთა კავშირები, სასპორტო, საგუნდო, მუსიკის წრეების ვერავითარი მასკარადი ვერ იხსნის ჰიტლერელებს, რომლებიც შეეცდებიან დაიმალონ იქ ყოველგვარი უნებელი საბელწოდებით.

ჰიტლერელთა მიერ შექმნილი „ახალი წესრიგი“ ევროპაში ნაწილობრივ უკვე დანგრეულია წითელი არმიის ძლევამოსილი შეტევით და მოკავშირეთა არმიების მიერ. იგი დანგრეულ იქნება მთლიანად, საბოლოოდ, და ჰიტლერული უშინდერი სული გაქარწყლებულ იქნება იმ ქვეყნებში, სადაც ფაშისტი დამპყრობლები იყვნენ.

დამნაშავეთა დასჯა მოჰყვება ჰიტლერული გერმანიის სამხედრო-პოლიტიკურ განადგურებას. და ამ მხრივ 1918 წელი არ განმეორდება, შეიქმნება ავაზაკებისათვის, რომელმაც გერმანიას მოსცეს ეშმაკობანი მოსახლეობის სისხლი, ბავშვების სისხლი, ბანდიტების მხოლოდ წახალისება იქნებოდა. სასჯელი მკაცრი, სამართლიანი, სრული იქნება. ამ სასჯელმა გერმანელებს და ზოგიერთ სხვასაც თავიდან უნდა გამოუბერტყოს წარმოდგენა ომის დროს დანაშაულობათა დაუსჯელობის შესახებ და მშვიდობისმოყვარე ხალხებზე აგრესიული, ავაზაკური თავდასხმის დაუსჯელობის შესახებ.

* * *

რა დიდმნიშვნელოვანიც უნდა იყოს გერმანიის ეკონომიური და სამხედრო-პოლიტიკური განიარაღება, იგი თავისთავად ჯერ კიდევ ვერ შესძლებს მსოფლიოს დაზღვევას გერმანელ იმპერიალისტთა ახალი ცდებისაგან — მოაშაფონ ახალი ავაზაკური თავდასხმა. ამხანაგი სტალინი ამბობს: „ყველასათვის ცნობილია, რომ გერმანიის მესვეურები ახლავე ემზადებიან ახალი ომისათვის“. ისინი, რაკი თვალისწინებენ გარდუვალ სამხედრო დამარცხებას, წინასწარვე ცდილობენ შეინარჩუნონ მორალურ-პოლიტიკური წანამძღვრები ამ ომისათვის — პირველ რიგში თავიანთი გავლენა გერმანელ ხალხზე. მათ სურთ შეინარჩუნონ ფაშისტური იდეოლოგია.

გაზეთი „რაინიშ-ვესტფალიშე ცაიტუნგი“ 24 სექტემბერს სწერდა: „თუ მოწინააღმდეგეებმა დაგვამარცხეს, მაგრამ სიცოცხლე შეგვინარჩუნეს, ამით ისინი აღზრდიან გერმანელი თაობის, პირს ვესელის მსგავს მილოონობით ჰაბუკს“. ჰიტლერულ პრესაში შეიძლება შეეხვედეთ ამგვარ აზრებს, ფიურერები დამარცხების შემთხვევაში არაფერში ჩაგდებენ ხალხის ბედს და წინანდელ ფაშისტურ პრომაგანდას განაგრძობენო.

ომის მსელელობაში ჰიტლერელებმა განიცადეს არა მარტო სამხედრო, არამედ მორალურ-პოლიტიკური დამარცხებაც. ფაშისტური იდეოლოგია სინამდვილეში ჰიტლერული გერმანიის სისუსტის წყარო აღმოჩნდა. „რა სობრივი სიძულვილის იდეოლოგია და პოლიტიკა ჰიტლერული ავაზაკური ბლოკის დაშლის ერთ-ერთ ფაქტორს წარმოადგენს“ (ი. სტალინი). მაგრამ აქედან როდი გამომდინარეობს, რომ ჰიტლერელები დამარცხებას შემდეგ ნებაყოფლობით იტყვიან უარს თავიანთ იდეოლოგიაზე. იგი სამუდამოდ უნდა იქნას მოსპობილი.

ჰიტლერელთა პარტია არის მსოფლიოს ყველა იმპერიალისტთა შორის ყველაზე უფრო მტაცებელ და ავაზაკ იმპერიალისტთა პარტია. ჰიტლერული პარტია არის დემოკრატიულ თავისუფლებათა მტრების პარტია, საშუალო საუკუნეთა რეაქციის და შაერაზშული რბევის პარტია.

ფაშიზმის იდეოლოგია ისეთ დანაშაულებრივია, როგორც მისი პოლიტიკა. ეს არის მხეცური ნაციონალიზმი, რომაც თავისი „თეორიული“ გამოხატულება ჰპოვა კაეთმოძულე მოძღვრებაში გერმანელ „ბატონთა რასის“ შესახებ, რომელიც მოწოდებულია ბყრობდეს და მბრძანებლობდეს ვითომდა სხვა არასრულფასოვან რასებს. რასობრივი სიძულვილი გერმანული ფაშიზმის იდეოლოგიისა და პოლიტიკის არსია.

რასიზმის რეაქციულ „თეორიაზე“ არის აგებული ჰიტლერელთა მთელი ფაშისტური მოძღვრება. მათ კაცობრიობას ეძახიან. ეს საგინებელი ზედმეტი სახელი როდია. ეს არის დანმარტება იმ საფუძვლისა კაცობრიობის ისტორიისადმი განვითარებაში, რომლისკენაც ჰიტლერელები ცდილობდნენ დაებრუნებინათ ევროპა და მთელი მსოფლიო. ის, რასაც ისინი თავიანთ „ახალ წესრიგს“ უწოდებენ, სწორედ კაცობრიობის წესრიგია.

ამ ისტორიამდელი წესრიგის დროს მტრულ ტომთა ურდოების ურთიერთობა ერთი რამით განისაზღვრებოდა — გამარჯვებულნი ძლეტდნენ, ხოცავდნენ, სპობდნენ დამარცხებულთ, ტყვეებივე ყველას, მაშინ ბატონობდა მხოლოდ ერთი კანონი — ძალის უფლება. ძლიერი ჰკლავდა და სპობდა სუსტს.

თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ჰიტლერელები ცდილობდნენ ამ დონემდე დაეყვანეთ ევროპის ხალხები. ისინი ცდილობდნენ ევროპის ხალხებში ჩაენერგათ ის აზრი, რომ ომი კაცობრიობის ბუნებრივი, ნორმალური მდგომარეობაა, მშვიდობიანობა კი მხოლოდ პერიოდია ომისათვის მზადებისა. ჰიტლერიზმი ქება-დიდებას ასხამს ომს, როგორც ძარცვას. კაეციმპალურია თავისი არსებით თეორია და პრომაგანდა ტოტალური ომისა, ეს იგი ხალხთა გამეცრებული ომისა, ომისა, რომელშიც არავითარი განსხვავება არ არის შეიარაღებულ ძალებსა და მშვიდობიან მოსახლეობას შორის; ომისა, რომელშიც გამარჯვება ნიშნავს დამარცხებული ქვეყნის დაჩაგრობასა და დამონებას, ფაშიზმმა მონათმფლობელობა დააკანონა.

ფაშიზმი, როგორც კაეციმპალის მოძღვრება, თანმიმ

მაღაროს პარტორგანიზაცია სუსტად მუშაობს

ჭიათურა („კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან). ლენინის სახელობის მაღარო ვერ ასრულებს მარგანეცის მოპოვებისა და სასაქონლო პროდუქციის დამზადების გეგმებს. მაღაროს კოლექტივმა სამშობლოს დაკლო ათასობით ტონა მარგანეცი, შემცირდა შრომის ნაყოფიერება და გაიზარდა პროდუქციის თვითღირებულება.

ეს მდგომარეობა იმით აიხსნება, რომ მაღაროში სუსტია სამეურნეო საქმიანობის პარტიული კონტროლი. პარტიულ კრებებზე საკითხებს იხილავენ უმთავრესად ზეპირად დაკვალებით. ძნელად იპოვნით განხილულს ისეთ საკითხს, რომელიც თვით პარტბიუროს ან კომუნისტებმა დააყენეს. პარტორგანიზაციის ერთხელაც არ მოუსმენია მაღაროს დირექტორის მოხსენება მარგანეცის გამოღების გეგმის შესრულებაზე.

ამას წინათ ქალაქკომის ბიუროს განსილული დადგენილება პროდუქციის თვითღირებულების გეგმის შესრულების მდგომარეობის შესახებ. ზუსტად ერთი თვის შემდეგ ამ საკითხზე იმსჯელა მაღაროს პარტიული ორგანიზაციის კრებამ. მიღებულ იქნა დადგენილებაც. შემდეგ პარტიულმა კრებამ განიხილა საკითხი შრომის ნაყოფიერების გეგმის შესრულების მდგომარეობის შესახებ, მაგრამ ისიც ქალაქკომის ბიუროს დადგენილების შემდეგ გაიხსენეს.

შევჩერდეთ ამ ორ საკითხზე.

საკითხების განხილვაში კომუნისტებს მონაწილეობა არ მიუღიათ, ვინაიდან კრება კარგად არ მზადდება. ორივე საკითხზე სიტყვით გამოვიდა მხოლოდ ერთი კაცი და ისიც პარტბიუროს მდივანი.

კრების დადგენილება არ იძლევა არც შრომის ნაყოფიერებისა და არც პროდუქციის თვითღირებულების სათანადო ანალიზს. პარტბიუროს მდივნის გამოსვლაში თვითღირებულების საკითხზე ნათქვამია, რომ ეს საქმე ქარხანა-მაღაროში ცუდად არ დგას. სამწუხაროდ, ციფრები სხვა: მეტყველებენ. კრების მოწვევის დღისათვის მარტო მარგანეცის გამოღებასა და გამდიდრებაზე გადახარჯული იყო 336.522 მანეთი.

ასევე, შრომის ნაყოფიერების საკითხზე პარტბიუროს მდივნის გამოსვლიდან ვტყობილობთ, რომ შრომის ნაყოფიერების გეგმის შესრულება ამ უკანასკნელ ხანს გაუმჯობესდა. სინამდვილეში კი ამ მაღაროს კრების დღისათვის შრომის ნაყოფიერების დაბალება შესრულებული ჰქონდა 87,7 პროცენტით.

დადგენილებები მიიღეს უკანასკნელ პუნქტებში ვკითხულობთ: დავალოს პარტბიუროს მდივანს ორი დღის განმავლობაში შეამოწმოს დადგენილებათა შესრულება. მის შემდეგ დეკადებიც გავიდა, თვეებიც და კვარტალებიც, მაგრამ პარტბიუროს დადგენილებათა შესრულების შემოწმება არ გახსენებია. ეს საქმე საერთოდ სუსტად არის დაყენებული. პირველადს პარტიულ ორგანიზაციას უკანასკნელ ექვს თვეში სამეურნეო საკითხებზე მიღებულ დადგენილებათა შესრულება არ შეუმოწმებია. ამიტომ პარტორგანიზაციის დადგენილებებს რეალური შედეგებიც არ მოჰყოლია. დადგენილებაში შრომის ნაყოფიერების საკითხზე ჩამორჩენის ერთ-ერთ მიზეზად მექანიზმების გამოუყენებლობა იყო მიჩნეული. მის შემდეგ სამ თვეზე მეტი გავიდა, ხოლო მექანიზმების გამოყენებაში კვლავ ძველებური მდგომარეობაა, ამჟამადაც აქ მხოლოდ ერთი საყელაო მანქანა და ორი მომწვრევი ჩაქუჩი მუშაობს.

რა ფასი აქვს ასეთ დადგენილებას?

ჯ. ჯიოკაძე

მოსავალმა შარშანდელს გადაჭარბება

აბაშა („კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან). კოლმეურნეობებმა მარცვლეულის მოსავალი დროულად და უდანაკარგოდ აიღეს. სოფელ კვითილარის კოლმეურნეობა „ჩვენმა მიღწევამ“ საშუალოდ ჰექტარზე 21,4 ცენტნერი სიმინდი აიღო, გაცილებით მეტი ვიდრე შარშან. ასევე უხვი მოსავალი მიიღეს სოფელ ნოჩიის ბერიას სახელობის (თავმჯდომარე შ. ჩჩავა), ნაესაკოვოს სტალინის სახელობის (თავმჯდომარე კ. ჯოჯუა) და ბევრ სხვა კოლმეურნეობაში. ამჟამად მიმდინარეობს მზადება მოსავლისა და შემოსავლის საბოლოო განაწილებისათვის. პლანტაციებში მთავრდება ჩაისა და ციტრუსების სამეშოდგომო სამუშაოები.

კოლმეურნეობებმა მტს-ის მიერ შესრულებული სამუშაოების ნატურანაზღაურებისა და სოიის სახელმწიფო ჩაბარების გეგმა ადრემდე შეასრულეს. შესრულებულია პირუტყვის სულადობის ზრდის 1944 წლის გეგმა. გაჩაღებულია მუშაობა საჭონლის საუკეთესოდ გამოზამთრებისათვის.

სამშობლოს დამცველთა ოჯახების დახმარების ფონდისათვის შეგროვებულია 1.780 კილოგრამი ლობიო, 74,5 ტონა სიმინდი, 1.032 კილოგრამი ყველი, 500 ცენტნერი ჩალა, 83 საქონე შეშა, ფულად 105 ათასი მანეთი. მრავალ ოჯახს შეუკეთდა ბინა.

ა. ჩაგანავა

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პროპაგანდისტი ამხ. ივ. ბიბილაშვილი თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკასთან არსებულ „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შემსწავლელ წრეში ატარებს ლექციას ამხანაგ სტალინის საოქტომბრო მოხსენებიდან თემაზე: „საბჭოთა ხალხის დიდი გმირობა სამამულო ომში“. ფოტო რ. აკოფოვისა.

ლენინი და სტალინი შრომის დისციპლინის შესახებ

თეორიული მოხსენება ღია პარტიულ კრებაზე

თბილისის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივი ომის დღეებში უდიდესი ენტუზიაზმით მუშაობს. წელს იგლისში, აგვისტოსა და სექტემბერში მიღწეული საწარმოო წარმატებებისათვის დეპომ ამფერ-კავკასიის მასშტაბით პირველობა მოიპოვა და გარდამავალი წითელი დროშა მიიღო. მაგრამ ოქტომბერში იგი მეორე ადგილზე გამოვიდა.

რა იყო ამის მიზეზი?

შრომის დისციპლინის უხეში ორთქლმავლის სრი მამაწქანის მიერ, ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად დეპოს პარტიულმა ორგანიზაციამ დასახა და განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებანი. ერთი ამ ღონისძიებათაგანი იყო თურმანელი მოხსენების მოწყობა თემაზე: „ლენინი და სტალინი შრომის დისციპლინის შესახებ“.

6 დეკემბრის ღია პარტიულმა კრებამ ამ თემაზე მოისმინა პარტიის წევრობის კანდიდატის ამხ. წ. ცხენოსანიძის მოხსენება.

მომხსენებელმა შრომის დისციპლინის შესახებ მოიყვანა დიდი ბელადების — ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის შეხედულებანი, ილაპარაკა, თუ რა მნიშვნელობა აქვს მტკიცე საწარმოო დისციპლინას შრომის მაღალი ნაყოფიერების მიღწევის საქმეში. მან სთქვა, რომ ლენინი ჯერ კიდევ 1918 წელს სტატიაში „საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები“ აღნიშნავდა: საჭიროა ვისწავლოთ შეურთება „...შრომელთა მასების დემოკრატიზმისა რკინისებურ დისციპლინასთან შრომის დროს, ერთი პირის. საბჭოთა ხელმძღვანელის ნებისყოფისათვის უსიტყვო დამორჩილებასთან შრომის დროს“. ეს ლენინური თეზისი უდევს საფუძვლად საბჭოთა საწარმოს ერთმპარველობას. საბჭოთა ხელმძღვანელის ნებისყოფიანობი უსიტყვო დამორჩილება. მტკიცე დისციპლინა და ორგანიზებულობა მოითხოვება შრომის ნაყოფიერების ზრდის საწინდარია, ხოლო „შრომის ნაყოფიერება, — როგორც ლენინი ამბობს, — ეს საბოლოო ანგარიშით, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი, ყველაზე უფრო მთავარია ახალი სოციალისტური წყობილების გასამარჯვებლად“. ამხანაგი სტალინი ყოველთვის ხაზგასმით მიუთითებდა წარმოებაში შრომის მტკიცე დისციპლინის აუცილებლობაზე. 1931 წლის სამეურნეო მოსაყთა თათბირზე წარმოთქმულ სიტყვაში ამხანაგი სტალინი ამბობდა: „...ჩვენ ყველთან ერთგვარ მოთხოვნებს ვუყენებთ მუშას, — მოვითხოვთ მისგან შრომის დისციპლინას, დაძაბულ მუშაობას, შეჯიბრებას, დამკვრელობას“. ჩვენი ამოცანაა დაუღალავად განვამტკიცოთ წარმოებაში დისციპლინა, როგორც შრომის ნაყოფიერების ზრდის აუცილებელი წანამძღვარი, ვინაიდან „...სოციალიზმს შეუძლიან გაიმარჯვოს მხოლოდ შრომის მაღალი ნაყოფიერების ბაზაზე“ (სტალინი).

მომხსენებელმა ილაპარაკა აგრეთვე შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულების განვითარებაზე კომუნისტური შაბათობებიდან და დაჰკვრელი ბრიგადებიდან ჩვენი დროის მძლავრ სახალხო მოძრაობამდე — სტახანოვურ მოძრაობამდე. აგითია გზა საბჭოთა ადამიანებში შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულების აღზრდისა.

შეეხო რა ადგილობრივ საწარმოო საკითხებს, მომხსენებელმა ილაპარაკა მოწინავე ადამიანების, ომის დროის სტახანოველების საწაძის, ბარნაბიშვილის, ნარიმანიძის, შენგელაის, ჩიგოგიძის, სარუხანოვის, რთველიაშვილის, გიუნაშვილის, ხიზანიშვილისა და სხვათა თავდადებულ მუშაობაზე, ხუთკის მუშაკები ისევე თავდადებით იბრძვიან საწარმოო დავალებათა შესრულებისათვის, როგორც ჩვენი გმირი მეომრები მფსრავენ გერმანელ ფაშისტებს, რაც უფრო განვამტკიცებთ შრომის დისციპლინას, მით უფრო მეტ დახმარებას გავუწევთ ფრონტს მტრის განადგურებაში. შრომის დისციპლინა უნდა განვამტკიცოთ არა მარტო დარწმუნების, არამედ იძულების გზითაც.

მომხსენებელმა ილაპარაკა შრომის სწორი ორგანიზაციის, მოწინავეთა გამოცდილების დანერგვის, მრავალფაზოვნობისა და პროფესიათა შეთავსების საკითხებზე. ვრცლად შეჩერდა წარმოების მეთაურსა და ხელქვეითს შორის ერთიერთდამოკიდებულების შესახებ, ამ საკითხზე მოიყვანა ლენინისა და სტალინის ძალი გამოთქმული აზრები, ცხადჰყო, თუ რამდენად საზიანოა, როდესაც ზოგიერთი ხელმძღვანელი ითქვიფება ხელქვეითებში და დაწვრილებას ჩქმალავს.

— როგორც ლენინი და სტალინი გვასწავლის, — ამბობს დასასრულ მომხსენებელი, — ყოველი რაინგზელი უნდა გრძნობდეს თავს ტრანსპორტის ჯარისკაცად, იყოს ფხიზელი და დისციპლინირებული, ჩვენ, დეპოელებს, გვაქვს წესდება დისციპლინის შესახებ და ტექნიკური ექსპლოატაციის წესები. ჩვენი მოვალეობაა მტკიცედ დავიცვათ ეს წესები, განვამტკიცოთ განვამტკიცოთ შრომის დისციპლინა წარმოებაში.

მოხსენების გამო გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 10 კაცმა.

კომკავშირელმა ინჟინერმა ამხ. ს. ბეგიჯანოვამ დაჰგმო კოჰორტ გურგენაშვილისა და აროშიძის მოქმედება, ვინაიდან ისინი აცდენენ სამუშაოს, უხეშად არღვევენ დისციპლინას.

— დისციპლინის განმტკიცების ერთ-ერთი საშუალება ის არის, — განაცხადა კომორგმა ინჟინერმა ამხ. კორბელაშვილმა, — რომ სისტემატურად ვამოწმებდეთ და გაცემულ ბრძანებათა და განკარგულებათა შესრულებას. ჩვენთან კი ამ წესს ხშირად არ იცავენ. მაგალითად, ავტომუხრუჭების სამანქანოს ოსტატმა ამხ. საულინმა არ შეამოწმა, თუ როგორ შეასრულეს ზეინკლებმა მისი განკარგულება. ამის შედეგი იყო ის, რომ საქმე თავის დროზე არ გაკეთდა და ორთქლმავლის გაშვება დაგვიანდა.

პარტიის წევრმა, დეპოს უფროსის მოადგილემ კადრების დარგში ამხ. ი. დომინანძა ილაპარაკა საბჭოთა სასამართლოს აღმზრდელობითის როლზე და მის მნიშვნელობაზე შრომის დისციპლინის განმტკიცებაში. მან მოითხოვა წარმოების დეზორგანიზატორთა საჩვენებელი გასამართლების მოწყობა.

კომუნისტმა ამხ. ვ. ბეგიაშვილმა აღნიშნა, რომ შეგნებული შრომითი დისციპლინის განმტკიცების ერთ-ერთი საშუალებაა გაპიროვნება, რასაც ზოგჯერ უგულებელჰყოფენ. მაგალითად, დამხმარე მეურნეობაში მანქანაიარაღები და გამწეები ძალა არ იყო გაპიროვნებული, რის გამო მაჯი მეტი ნაწილი უგზოუკლოდ დაიკარგა.

— საწარმოს მეთაური, — განაცხადა პარტიის წევრმა ინჟინერმა ამხ. თ. გაგნიძემ, — პირადი მაგალითის მიმცემი უნდა იყოს დანარჩენებისათვის, მაგრამ ზოგი ჩვენი ამხანაგი არ ასრულებს ამ მოთხოვნას. ეს ეხება მემანქანეებს ამხ. კიკილაშვილს, კანდელაკს და სხვ.

კამათში გამოვიდნენ აგრეთვე: კომუნისტები ი. მიროტაძე და გ. ზადიყანი, კომკავშირელი პ. დრელიგი, დეპოს პარტბიუროს მდივანი ვ. ლუარსაბოვი და საქმოვნეთის კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. ა. ლაბახუა.

პარტიულმა კრებამ დაადგინა ხშირად მოეწყოს დეპოში მოხსენებები თეორიულ საკითხებზე და დაავალა პარტბიუროს ახლო მომავლისათვის მოამზადოს თეორიული კონფერენცია თემაზე: „გერმანია ორი ფრონტის მარწუხებში“.

წლიური გეგმა შესრულებულია

წითელწყაროს. („კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან). წითელწყაროს მტს-მა (დირექტორი ა. ბიწაძე) ახალ წარმატებებს მიაღწია. 1944 წლის საწარმოო გეგმა 127,5 პროცენტით შეასრულა. რაზედ ხვნაზე გადაყვანით 18.000 ჰექტარის ნაცვლად მოხნულია 22.853 ჰექტარი. გადაჰარბებით არის შესრულებული ავრეთვე სათადარიგო ნაწილების აღდგენისა და დამზადების დავალება და კადრების მომზადებისა და გადამზადების გეგმა. მტს-ის სახელოსნოში გაცხოველებით სწარმოებს ტრაქტორების შეკეთება.

მეშვიდე სატრაქტორო ბრიგადამ, რომელსაც კომუნისტი კ. ტარასოვი ხელმძღვანელობს, წლიური საწარმოო გეგმა 186 პროცენტით შეასრულა და 1,555 კილოგრამი საწვავი დაზოგა. ამ ბრიგადის ტრაქტორისტმა პ. სამადურომა დავალება ორმაგად შეასრულა და 465 კილოგრამი საწვავი დაზოგა. კარგი მუშაობით თავი ისახელა ავრეთვე აღ. ელიზბარაშვილის ბრიგადამ და სამამულო ომის ინვალიდმა ტრაქტორისტმა გ. ახრამოვიჩმა. ასევე დაწინაურდნენ მე-9, მე-8, მე-15 და მე-16 ბრიგადები (ბრიგადირები აღ. ბაუმი, შ. მოსაშვილი, ად. გიგოლაშვილი და აფ. კუზმიჩოვი).

შ. მოლაშვილი

სანიმუშოდ შეკეთებოთ ტრაქტორები

წულუკიძის მტს-ის კოლექტივმა (დირექტორი ამხ. წ. ხვიჩია) დიდი სტალინის საოქტომბრო მოხსენებისა და ბრძანების პასუხად იკისრა ვადაზე ადრე შეასრულოს ტრაქტორების საშემოდგომო-საზამთრო რემონტის გეგმა.

მტს-ის სპეციალისტები თვითონ აღადგენენ და აკეთებენ ზოგიერთ რთულ ნაწილს. სამამულო ომის მონაწილემ მედალოსანმა კ. პავლიძემ აღადგინა კბილანები. ნაწილების აღსადგენად ასევე კარგად მუშაობენ ხეინკლები კ. წვერავა და ერ. ლაითაძე. ტრაქტორისტებმა აკ. ჩხენკელმა, ლ. ბარაბაძემ, რ. ბენდელიანმა და ვ. ფარცხალაძემ ნორმების დავალება 10 დღით ადრე შეასრულეს. მთლიანად მტს-მა ტრაქტორების შეკეთების ნორმების გეგმა 108 პროცენტით შეასრულა.

მტს-ში ტრაქტორების საშემოდგომო-საზამთრო რემონტის მიმდინარეობას ხელს უშლის სარემონტო ხელსაწყოს (ქლობების და სხვ.) უქონლობა. მტს-ს უნდა შეეკეთებინა სახარატო და საჩარხი დაზგა, დაზგის ასამუშავებლად საჭირო ელექტროგაყვანილობა კი დღემდე მოუწესრიგებელია.

მანქანა-ტრაქტორთა რემონტის საქმეში სავრძნობლად ჩამორჩენიან პირველი და მეორე სატრაქტორო ბრიგადები.

მ. ჯაფარიძე

ნამაჟი ვერ შეინარჩუნეს, გეგმა შეუსრულებელია

ჩოხატაური („კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან). მთელი რიგი კოლმეურნეობები ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესასრულებლად. წელს მიღებული ხბოებიდან შენარჩუნებულია მხოლოდ 67 პროცენტი, თოქები კი—80 პროცენტი. ბევრგან უყურადღებობას იჩენენ მეფრინველეობის განვითარებისადმი. ახალსოფლის, ახალშენის და ონტაბუეთის კოლმეურნეობებმა ჯერ შეინარჩუნეს მეფრინველეობის ფერმები და ახლა ფრინველი სულ არა ჰყავთ.

მეცხოველეობის განვითარების გეგმების შესრულებაში ჩამორჩენენ ახალსოფლის კოლმეურნეობა „დამკვრელი“. მეშვიდის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა, კოლმეურნეობა „წითელი ვარსკვლავი“, ძდანოვის, ჩაპაევისა და ჩკალოვის სახელობის კოლმეურნეობები.

სოფელ მეშვიდის, წითელგვარის, ჭიენობნის, ვანის და კობნარის კოლმეურნეობებმა თავიდანვე არ იზრუნეს საქონლის საზამთრო საკვების მოსამარაგებლად. ამის გამო მათ საკვები საკმაო რაოდენობით არა აქვთ. მსგავსი მდგომარეობაა სოფელ გუთურის კოლმეურნეობა „პირველ მაისში“, ბუკნარის კიროვის სახელობის და ზოლეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებში. ახალშენის, გოგოლესუბნის, შუაგანახლების და ჩაისუბნის კოლმეურნეობებს ჯერ კიდევ არ აუშენებიათ დამატებითი ბოსლები. კაპიტალური და მიმდინარე რემონტი ესაჭიროება ახალსოფლის, ზემოსურების, შუასურების და სხვა კოლმეურნეობების ბოსლებს.

საჭიროა გადამწყვეტი ზომების მიღება, რათა აღნიშნული ნაკლოვანებანი დროზე გამოსწორდეს.

გრ. მამალაძე

როგორ გავანაწილებთ მოსავალს და შემოსავალს

ჩვენი კოლმეურნეობა ყოველწლიურად იზრდება და მტკიცდება. სამამულო ომის დღეებში კოლმეურნეობამ კიდევ უფრო გაადიდა საერთო მოსავალი და შემოსავალი. კოლმეურნეები წარმატებით ასრულებენ უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინის მიერ დასახულ ამოცანებს.

ჩვენ მოვაწყეთ საარტელო მეურნეობის მრავალი დარგი, ფართოდ განვავითარეთ მემინდვრეობა, მეჭარხლეობა, მებოსტნეობა, მებაღეობა, მევენახეობა და მეცხოველეობა. კოლმეურნეობასთან სხვადასხვა სახის ფერმა არსებობს. ქალები, მოხუცები და მოზარდები აქტიურად მონაწილეობენ საკოლმეურნეო შრომაში. კოლმეურნეობაში 300 მუშახელია, მაგრამ მათ შორის არ მოიპოვება ისეთი შრომისუნარიანი კოლმეურნე, რომელსაც შრომადღეების საველდებულო მინიმუმზე მეტი არ ჰქონდეს გამომუშავებული, ზოგიერთმა კოლმეურნემ კი 500 და მეტი შრომადღე გამომუშავა.

კოლმეურნეობის წარმატებები პირველ ყოვლისა იმის შედეგია, რომ ჩვენ განუხრელად ვახორციელებთ სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინურ წესდებას. საზოგადოებრივი საკუთრება კოლმეურნეობის საფუძველია და მას მტკიცედ ვიცავთ. არ ხდება საზოგადოებრივი ქონების უკონტროლოდ და თვითნებურად ხარჯვა, ხარჯთაღრიცხვის დაცვით, ერთ მუხლში გათვალისწინებული სახსრების მეორეში გადატანა, საერთო კრების დაუკითხავად ამა თუ იმ ხარჯების გაწევა. კოლმეურნეობა თავის თავისუფალ ფულად სახსრებს ბანკში მიმდინარე ანგარიშზე ინახავს.

წელს შემოდგომისა და გაზაფხულის ქერის ნათესები 135 ჰექტარს შეადგენდა, შემოდგომის ხორბალი კი 302 ჰექტარი გვქონდა დათესილი. გადაჭარბებით შესრულდა მოსავლიანობის გეგმა. ჰექტარზე საშუალოდ ცხრა ცენტნერის ნაცვლად 10,8 ცენტნერი ქერი და 9 ცენტნერი პური არის მიღებული. გეგმით გათვალისწინებული 50 ჰექტარის ნაცვლად 71 ჰექტარი სიმინდი დაითესა და მოსავალიც თვითეულ ჰექტარზე მოწეულია 16 ცენტნერი, ე. ი. 5 ცენტნერით მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. კოლმეურნეობამ მიიღო სულ 2.572 ცენტნერი მაქრის ჭარხალი, ჰექტარზე 156 ცენტნერი, გეგმა კი 130 ცენტნერს ითვალისწინებდა. მოყვანილია 82 ცენტნერი ჭარხლის თესლი, 140 ცენტნერი ლობიო, 1.600 ცენტნერი კომბოსტო, ბევრი პამიდორი, ხახვი, კიტრი, ხილი, ყურძენი. თესლის გამოსაყვანად მომავალ წლისათვის დარგულია 260.000 ძირი მაქრის ჭარხალი. მიღებულია 150 კილოგრამამდე კომბოსტოს, პამიდორის, ბოგრის, კიტრის თესლი. ვადამდე გადამეტებით არის შესრულებული მეცხოველეობის განვითარების 1944 წლის სახელმწიფო გეგმა. საკმაოზე ბევრად მეტი დამზადდა პირუტყვისათვის ხუნში და კონცენტრირებული საკვები, გადაჭარბებით შესრულდა სილოსის ჩაღების გეგმა.

კოლმეურნეობაში მტკიცედ ხორციელდება სოციალისტური საზოგადოების მთავარი პრინციპი: „თვითეულისაგან მისი უნარის მიხედვით, თვითეულს — მისი შრომის მიხედვით“. საკოლმეურნეო მოსავლისა და შემოსავლის განაწილება წევრებს შორის ხდება მხოლოდდამხოლოდ თვითეულის მიერ გამომუშავებული შრომადღეების რაოდენობის მიხედვით, სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების, პარტიისა და მთავრობის დადგენილების მტკიცედ დაცვით. ზუსტად აღირიცხება ყველა სამუშაო და შესრულების შედეგი. ეს საშუალებას იძლევა სწორად გავანაწილოთ მოსავალი და შემოსავალი.

შრომის ნაყოფიერების თვალსაჩინო გადიდებას ხელს უწყობს ის, რომ ფართოდ დაინერგა ინდივიდუალური სანარდო მუშაობის სისტემა. თითოთოლმა ბრიგადამ, რგოლმა, კოლმეურნემ იცის, თუ რისთვის იბრძვის იგი, რა წარმატებები აქვს და რას მოხმარდება მიღებული მოსავალი და შემოსავალი. კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიამ წელს მესამედ შეამოწმა სწორად ხდება თუ არა შრომადღეების ჩაწერა შრომის წიგნაკებში. მანვე შეამოწმა ხომ არა აქვს ადგილი საფინანსო წესების დარღვევას. წლის ბოლოს, მოსავლისა და შემოსავლის საბოლოო განაწილების წინ, ხელახლა შემოწმდება შესრულებული სამუშაოებისათვის შრომადღეების დარიცხვა, წიგნაკებში ჩაწერა. შემოწმებას მოახდენს, ერთის მხრივ, კოლმეურნეობის გამგეობა, ხოლო, მეორე მხრივ, სარევიზიო კომისია.

კოლმეურნეობა პირნათლად ასრულებს თავის ვალდებულებას ფრონტისა და ქვეყნის წინაშე, არ იგვიწყებს პირველ მცნებას — სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარებას, გალეწვის დაწყების პირველ დღეებშივე კოლმეურნეობამ სახელმწიფოს ჩააბარა გეგმით გათვალისწინებული სავალდებულო 10.515 კილოგრამი ხორბალი, 7.010 კილოგრამი ქერი, ანგარიში გაუსწორა ნატურით მტს-ს შესრულებულ სამუშაოსთვის. წითელი არმიის ფონდში შეტანილია 3.665 კილოგრამი მარცვლეული და 786 კილოგრამი ხორცი, ხოლო თავდაცვის ფონდში—900 კილოგრამი მარცვლეული. გარდა ამისა, კოლმეურნეობამ სახელმწიფოს ჩააბარა სავალდებულო 3.848 კილოგრამი ხორცი, 95,2 კილოგრამი ერბო, 87 კილოგრამი ყველი, 3.765 ცალი კვერცხი, 433 კილოგრამი მატყლი, 2.493 კილოგრამი თივა, 3.950 კილოგრამი კიტრი, 10.995 კილოგრამი პამიდორი, 5.864 კილოგრამი ხახვი, 6.230 კილოგრამი სუფრის ჭარხალი, 40 ტონა კომბოსტო, 2 ტონა ხილი, 2.572 ცენტნერი მაქრის ჭარხალი, 82 ცენტნერი მაქრის ჭარხლის თესლი, 12,1 ტონა ყურძენი. კოლმეურნეობამ ყველა სახელმწიფო ვალდებულება შეასრულა ვადამდე და გადაჭარბებით.

სახელმწიფო ვალდებულებათა შესრულებისთანავე კოლმეურნეობამ გამოჰყო თესლი და ფურაჟი მთელი წლის საჭიროების დასაკმაყოფილებლად, აგრეთვე შეჰქმნა სათესლე და საკვები ფონდები წლიური საჭიროების 15 პროცენტის რაოდენობით. გამოყოფილია თესლეული: ხორბალი 580 ცენტნერი, ქერი—310, სიმინდი—17,6, უგრეხელი—7,6, ლობიო—11,5, ფიგა—12 ცენტნერი და 50 კილოგრამამდე კომბოსტო, კიტრი, პამიდორი, ხახვი. მოსავლიანობის შემთხვევისათვის დასაზღვევად მარტო ხორბლის თესლი შენახულია 70 ცენტნერი, ქერისა—37, სიმინდისა—25 ცენტნერი. მომავალი 1944-45 წლის ზამთრისათვის პირუტყვის საკვებად კოლმეურნეობამ გამოჰყო 545,5 ტონა სიმინდი, უგრეხელი, სილოსი, ბზე, ჩალა, თივა, შექმნა მოუსავლიანობის შემთხვევისათვის ფურაჟის ფონდი 100 ცენტნერის რაოდენობით.

საერთო კრების გადაწყვეტილება ითვალისწინებდა ფონდების შექმნას ინვალიდების, მოხუცების, დროებით შრომისუნარდაკარგულების, წითელარმიელთა ოჯახების დასახმარებლად, აგრეთვე საბავშვო ბაგების შესანახად არა უმეტეს საერთო პროდუქციის 2 პროცენტისა. აღნიშნული მიზნებისათვის გადადებულია 3.300 კილოგრამი ხორბალი, 1.400 კილოგრამი ქერი, 200 კილოგრამი სიმინდი.

საერთო კრების დადგენილებით კოლმეურნეობამ გამოჰყო 3 ტონა მარცვლეული სახელმწიფოსათვის მისასყიდად და საკოლმეურნეო ბაზარზე გასაყიდად.

სახელმწიფოს წინაშე ყველა ვალდებულების პირნათლად შესრულებისა და საზოგადო ფონდების გამოყოფის შემდეგ მოსავლისა და მეცხოველეობის პროდუქტების მთელი დანარჩენი რაოდენობა ნაწილდება შრომადღეებზე. კოლმეურნეები საბოლოო განაწილებისას შრომადღეზე მიიღებენ 5,5 კილოგრამ პურს, სიმინდს და ქერს. გარდა ამისა, დარიგდება 2 კილოგრამი კომბოსტო და 3 კილოგრამამდე ვაშლი, აგრეთვე პამიდორი, ღვინო, ბზე და სხვ. კოლმეურნე ვ. ბალაშვილის ოჯახი, რომელიც ორი სულისაგან შესდგება, წელს გამომუშავებულ შრომადღეებში იღებს 330 ფუთ მარცვლეულს, 60 ფუთ კომბოსტოს და ბევრ სხვა პროდუქტს. ფრონტელის ცოლს ა. ისრაგოვილს მის მიერ კოლმეურნეობაში გამომუშავებულ შრომადღეებზე ერგება 60 ფუთი მარცვლეული, 25 ფუთამდე კომბოსტო და სხვ.

ნატურალური ავანსები კოლმეურნეობის წევრებს მიეცათ პურეულის გალეწვის დაწყებიდანვე. ავანსები არ მიგვიცია მხოლოდ იმ პირებისათვის, რომლებსაც შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი არ ჰქონდათ გამომუშავებული. ავანსების გაცემის დაწყებამდე შეჯამდა და დაზუსტდა თვითეულის მიერ გამომუშავებული შრომადღეები. სულ წელს გათვალისწინებულია 65.000 შრომადღის დახარჯვა. როგორც ირკვევა, დაიხარჯება 64.000 შრომადღე.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის შრომის დამატებით ანაზღაურებას მიიღებენ მემინდვრეობის პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე ბრიგადები, აგრეთვე მაქრის ჭარხლის, მევენახეობის და მებოსტნეობის ბრიგადები.

ფულადი შემოსავალი, გათვალისწინებული 443.736 მანეთის ნაცვლად, მიაღწევს 500.000 მანეთს. კოლმეურნეობამ უკვე გადაუხადა სახელმწიფოს კანონით გათვალისწინებული სამემოსავლო გადასახადი 20.000 მანეთი, სადაზღვევო — 15.000 მანეთი. ამასთანავე გაწეულია ხარჯები მიმდინარე საწარმოო საჭიროებისათვის: სასოფლო-სამეურნეო იარაღების რემონტზე 16.000 მანეთი, პირუტყვის მკურნალობაზე და მცენარეთა მავნებლებთან ბრძოლაზე — 2.000 მანეთი.

წესდების მიხედვით კოლმეურნეობის ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯები არ უნდა აღემატებოდეს ფულადი შემოსავლის 2 პროცენტს, ფაქტიურად იხარჯება 1 პროცენტი. სულ 4.437 მანეთი.

ფულადი შემოსავლის ნაწილი გამოყოფილია კულტურული საჭიროებისათვის: კადრების მომზადებას ხმარდება 3.000 მანეთი, საბავშვო ბაგებსა და ბაღს — 6.000 მანეთი, სხვა კულტ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას — 4.000 მანეთი.

მთლიანი ფულადი შემოსავლიდან კოლმეურნეობის განკუთვნილი ფონდის შესავსებად ჩაირიცხება 53.247 მანეთი. ამას დაემატება ბანკში შენახული სხვა თანხები, რაც სულ შეადგენს 116.033 მანეთს. აქედან 12.000 მანეთი მოხმარდება იარაღ-მანქანების შეძენას, 15.000 მანეთი შენობების შეკეთებას და მასალების ყიდვას, 5.000 მანეთი — სატრანსპორტო ინვენტარის და სხვ. შეძენას, 69.000 მანეთი ხარებისა და პროდუქტიული საქონლის ყიდვას, 15.000 მანეთი კი — მიწათმოწყობის ხარჯებს.

შრომადღეებზე გასანაწილებლად რჩება დაახლოებით 172.750 მანეთი.

კოლმეურნეებს ამჟამად უკვე მიღებული აქვთ 8 თვის განმავლობაში გამომუშავებული შრომადღეების მიხედვით კუთვნილი პროდუქტები, დასარჩენს მიიღებენ წლის ბოლოს. ამჟამად კოლმეურნეობაში გაცხოველებით მიმდინარეობს მთელი ქონებისა და ფასეულობათა ინვენტარიზაცია. კოლმეურნეები ზუსტად ამოწმებენ და წესრიგში მოჰყავთ თავიანთი კუთვნილი მოძრავი და სხვა ქონება. დიდი მოსამზადებელი მუშაობა სწარმოებს წლიური ანგარიშების დროულად და სწორად შედგენისათვის.

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა ულლისაგან განთავისუფლებულ რაიონების კოლმეურნეებს ჩვენ გავუგზავნეთ ძროხა და სხვა პირუტყვი, პროდუქტები, დავუმზადეთ ვაზის 400.000 ძირი ნამყენი. კოლმეურნეობა დაეხმარა ფრონტელთა ოჯახებს საკარმიდამო მიწების დამუშავებაში, გამოჰყო მათთვის 3 ტონა მარცვლეული, 2 ტონა კომბოსტო, ბევრი სხვა პროდუქტი, ფულად 3.000 მანეთი, დაუმზადა შეშა და სხვ.

მთლიანად სრულდება 1944 წლის საწარმოო გეგმა. კოლმეურნეობა მზად არის პირუტყვის სატკეთესოდ გამოზამთრებისათვის. ვადაზე დავამთავრეთ საშემოდგომო თესვა, მზრალად ხვნა, მტკიცე საძირკველი ჩაეყარა 1945 წლის უხვ მოსავალს.

ჩვენ ვალდებულებას ვკისრულობთ კიდევ უფრო ენერგიულად ვიბრ

დეპეშები

ჩერჩილის გამო სვლა

ლონდონი, 5 დეკემბერი. (ტასის). ობზორეს რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ჩერჩილი 5 დეკემბერს თემთა პალატაში სიტყვით გამოვიდა საბერძნეთში შექმნილი მდგომარეობის გამო და სთქვა, რომ მის ხელთ არ არის საკმაო მასალები განსახადებისათვის იმის შესახებ, თუ პირველმა ვინ დაიწყო სროლა ათენში 3 დეკემბერს მომხდარი დემონსტრაციის დროს. ჩერჩილის სიტყვით, ინგლისის ჯარები ამჟამად „ზომებს იღებენ იმისათვის, რომ თავიდან აიცილონ სისხლისღვრა".

ჩერჩილმა პასუხისმგებლობა დააკისრა ხალხერძნეთის მემარცხენე წრეებს საბერძნეთში გაფიცვის მოწყობისათვის, „რაც ხელს უშლის მოსახლეობის მომარაგებას სურსათით" და განაგრძო: „ჩვენი საკუთარი პოზიცია, როგორც უკვე ვთქვი, აბსოლუტურად ნათელია. მშვიდობიანობის მონარჩუნებაში ვხედავთ ბერძენი ხალხი თუ რესპუბლიკური, ეს მისი საკუთარი საქმეა; მემარჯვენე მთავრობას შეჰქმნის იგი თუ მემარცხენეს, ეს მისი საქმეა. ამ საკითხების გადაწყვეტა მხოლოდ-დამხოლოდ მას ეკუთვნის. მანამდე, სანამ ბერძენ ხალხს შესაძლებლობა არ ექნება მიიღოს გადაწყვეტილება, ჩვენ უყოყმანოდ გამოვიყენებთ ინგლისის მხიშვნელოვან არმიას, რომელიც ამჟამად საბერძნეთში „მყოფება და რომელიც დამხმარე ძალებს იღებს კანონისა და წესრიგის დასაცავად".

უპასუხო რა პალატის წევრ ლეიბორისტ პეტიკ-ლოურენსს შეკითხვაზე, იზრუნებს თუ არა ინგლისის მთავრობა იმისათვის, რომ საბერძნეთში მის მოქმედებას საბერძნეთის მარტო ერთი პოლიტიკური დაჯგუფებისადმი დახმარების ხასიათი არ ჰქონდესო, ჩერჩილმა განაცხადა, რომ კომუნისტები და „ეამ-ის („ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ფრონტი") წარმომადგენლები საბერძნეთის მთავრობიდან გამოვიდნენ „უეცრად, დამყარებული ხელისუფლების დამხობის ცდის წინ, რომელიც სრულიად აშკარად მზადდებოდა".

ლეიბორისტმა გესტმა წინადადება შეიტანა, რომ პალატას დაუყოვნებლივ განეხილა ათენში საბერძნეთის პოლიციის მიერ ათენში უიარაღო ბავშვებისათვის სროლის ატეხის შესახებ, რადგან ეს საკითხი გადაუდებელ და დიდმნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს საზოგადოებრიობისთვისო.

ლეიბორისტმა ენიურინ ბივენმა განაცხადა, რომ ინგლისსა და შეიარაღებულ ძალებში ოვრძნობა დიდი შეშფოთება, რადგან შეიძლება შეიქმნას ისეთი შთაბეჭდილება როგორ შეიარაღებულ ძალებს ისეთი მიზნებისათვის ვიყენებთ, რომლებისთვისაც ისინი მობილიზებულნი არ ყოფილან.

ლეიბორისტი ბიუკენენი ამტკიცებდა, რომ ეს ისეთი საკითხია, რომლის გამო კამათი დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს, რათა მთავრობას შეეძლოს თავისი პოზიციის ჩამოყალიბება.

სპიკერმა უარი განაცხადა გესტის წინადადების მიღებაზე — განხილულ იქნას ეს საკითხი.

მდგომარეობა საბერძნეთში

ლონდონი, 6 დეკემბერი. (საკავშირო). როგორც ინგლისში არსებული ამერიკელთა რადიოგადამცემი იუწყება, გუშინ საბერძნეთის პრემიერ-მინისტრმა პაპანდრეუმ გამოაცხადა, რომ მას განზრახვა აქვს გადადგეს, მაგრამ საბერძნეთის მეფემ გეორგმა გადადგომა არ მიიღო. ლიბერალების ლიდერმა სოფულისმა განაცხადა, რომ მისი პარტია მზად არ უჭერს პაპანდრეუს მთავრობას.

ამერიკელი კორესპონდენტი იუწყება, რომ საბერძნეთში ამერიკელთა ჯარები არ არიან და ამერიკელები არ იღებენ მონაწილეობას თქ მოსზდარ ამბებში.

რეიტერის სააგენტოს ცნობით, ლიბერალური პარტიის ლიდერმა თემისტოკლეს სოფულისმა განაცხადა, რომ 4 დეკემბერს პრემიერ-მინისტრმა პაპანდრეუმ სთხოვა მას დაეყოვნებინა შეედგინა ახალი კაბინეტი, ამასთან მემარცხენე და სხვა პარტიები დასთანხმდნენ კოალიციურ მთავრობაში შესვლას. „მაგრამ 5 დეკემბერს დილით,—სთქვა სოფულისმა,—ინგლისის ელჩმა მაცნობა, რომ თანახმად უკანასკნელი ინსტრუქციებისა, რომლებიც მან ინგლისის პრემიერ-მინისტრისაგან მიიღო, საბერძნეთის მთავრობის მეთაურის არავითარი შეცვლა აშკამად არ შეიძლება".

ინგლისის ჯარების სარდალმა გენერალმა სკობიმ, განაგრძო სოფულისმა, ანალოგიური განცხადება გააკეთა და მთხოვა მხარი დამეჭირა პაპანდრეუსათვის, რომელიც თავის პოსტზე დარჩებაო.

სოფულისის სიტყვით, მან უპასუხა: პაპანდრეუს მთავრობისათვის მხარდაჭერას რომ დავთანხმდე, ეს იქნებოდა „დიქტატურისათვის მხარდაჭერა", რასაც მე ვერ ვიზამო.

5 დეკემბერს სკობიმს გენერალ სკობის შტაბში გამოაქვეყნა კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია, რომ ათენ-პირეის რაიონში დემონსტრანტებთან პოლიციის და ეანდარმერიის შეტაკებათა შედეგად ევაკუირებულია რამდენიმე საპოლიციო უბანი. შეტაკება მოხდა აგრეთვე მემორჯვენე და მემარცხენე ელემენტების შორის. მთელ რიგ შემთხვევებში ინგლისის ჯარის მოუხდათ შეტაკებებში ჩარევა და რამდენჯერმე იძულებული გახდნენ ესროლათ ათენიდან გადმოგვცეს, რომ დღეს „სპიტფაირის" მარკის თვითმფრინავებმა მონაწილეობა მიიღეს ბრძოლებში ინგლისის ჯარებასა და ელასის ნაწილებს შორის, რომლებიც ცდილობდნენ გადაეჭრათ პირეისაკენ მიმავალი გზა, რაც ნახევარ მილზე ნაკლებ მანძილზე მდებარეობს ათენის ცენტრიდან.

ბრძოლებში, რომლებიც აქამდე გრძელდება, მონაწილეობას იღებენ ჯავშნიანი მანქანები და ტანკები.

ლონდონი, 6 დეკემბერი. (საკავშირო). გაზეთ „დეილი ჰერალდის" პოლიტიკური მიმომხილველი იუწყება, რომ საბერძნეთში შექმნილ მდგომარეობას 5 დეკემბერს საღამოს ხანგრძლივ სხდომაზე იხილავდა ლეიბორისტული პარტიის საპარლამენტო ჯგუფის აღმასრულებითი კომიტეტი. ამის შედეგად ამ ყვირაში, ალბათ 8 დეკემბერს, დაიწყება კამათი თემთა პალატაში.

„ლეიბორისტულ პარტიას, — სწერს მიმომხილველი, — სურს, რათა ნათლად იყოს ალნიშნული, რომ ინგლისის ჯარები გამოყენებულ არ იქნებიან პარტიული ჯგუფების დასახმარებლად რომელიმე განთავისუფლებულ ქვეყანაში".

ლონდონი, 7 დეკემბერი. (საკავშირო). როგორც დღეს დღისით ლონდონის რადიომ გადასცა, ათენში გამოქვეყნებულ ოფიციალურ კომუნიკეში ნათქვამია, რომ გრძელდება ბრძოლა ათენისა და პირეის რაიონში. ბრძოლები ატყდა აგრეთვე თრაკიის ქალაქ დრამაში.

ვადა ულტიმატუმისა, რომლითაც გენერალმა სკობიმ წინადადება მისცა პარტიზანებს — ათენი დაცარიელებულ, შეუღამისას გავიდა. მაგრამ ელასის რაზმები, როგორც სჩანს, ქალაქის დატოვებას არ აპირებენ. ბრიტანეთის ავიაციის თვითმფრინავები განუწყვეტლად პატრულობენ საბერძნეთის დედაქალაქის თავზე ეამის ორგანიზაციამ დღეს საღამოსათვის მასობრივი დემონსტრაცია დანიშნა.

ათენის რადიომ დღეს დილით გამოაცხადა, რომ პრემიერ-მინისტრი პაპანდრეუ არ გადამდგარა.

ნახევარ წელიწადში გერმანელებმა 137 გენერალი დაკარგეს

ლონდონის რადიოს ცნობის თანახმად, 1944 წლის 16 ოქტომბრიდან 14 ნოემბრამდე მოკლულ ან ტყვედ წაყვანილ იქნა რვა გერმანელი გენერალი. ამრიგად, გერმანელ გენერალთა საერთო რაოდენობა, რომლებიც 1 ივნისიდან მწყობრიდან გამოვიდნენ, 137 კაცს აღწევს. დასავლეთის ფრონტზე მოკლეს 15 და ტყვედ წაიყვანეს 31 გენერალი. იტალიაში მოკლულ იქნა ერთი გერმანელი გენერალი, ხოლო აღმოსავლეთის ფრონტზე მოკლეს 28 და ტყვედ წაიყვანეს 48 გენერალი. 10 გერმანელი გენერალი უბედურ შემთხვევის მსხვერპლი გახდა. 4 გენერალი ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ფრონტის ჩამოარხრჩეს ჰიტლერის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობისათვის. სულ, ეჭვგარეშეა, ნახევარი წლის განმავლობაში მწყობრიდან გამოვიდა 137 გერმანელი გენერალი.

ფინეთის მთავრობის გადაწყვეტილება

ჰელსინკი, 7 დეკემბერი. (საკავშირო). მინისტრთა საბჭოს 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით გაუქმებულია ალრძალვა, რომელიც ეხებოდა ომის დროს და ომის წინ მთელ რიგ გამოცემებს, აგრეთვე ნებადართულია მთელ რიგ წინათ კონფისკებულ გამოცემათა გავრცელება.

ფინეთის სამხედრო-საველე სასამართლოების მიერ მსჯავრდებულ პირთა განთავისუფლება

ჰელსინკი, 5 დეკემბერი. (საკავშირო). ამას წინათ დამტკიცებულ იქნა კანონი იმ პირთა ამნისტიის შესახებ, რომლებიც მსჯავრდადებული არიან ფინეთის სამხედრო-საველე სასამართლოების მიერ დროებითი ზავის დადებამდე. 2 დეკემბერს დაიწყო ამ პირთა განთავისუფლება. როგორც გაზეთები იუწყებიან, პატიმრობიდან განთავისუფლებულთა რაოდენობა უკვე 1,000 კაცს აღემატება.

შვედური გაზეთი საბჭოთა ჯარებისა და ჩრდილოეთ ნორვეგიის მოსახლეობის ურთიერთობის შესახებ

გეტებორგი, 6 დეკემბერი. (საკავშირო). გაზეთი „გეტებორგს-პოსტენი" სწერს:

„ნორვეგიელმა, რომელსაც თვალსაჩინო ადგილი უჭირავს წინააღმდეგობის მოძრაობაში და რომელიც ამას წინათ შვედეთში ჩამოვიდა, გკითხა, რომ რუსები ჩრდილოეთ ნორვეგიის მოსახლეობას ძალიან მეგობრულად ეპყრობიან. პირველ დღეებში, როცა მომარაგება ჯერ კიდევ არ იყო მოგვარებული, რუსეთის ჯარები აძლევდნენ მოსახლეობას სურსათს თავიანთი მარაგიდან და საერთოდ ეხმარებოდნენ, რითაც შეიძლოთ. კირკენესში შენობების მეტი ნაწილი დანგრეულია გერმანელების მიერ. გადარჩენილი სახლები რუსებმა მოსახლეობის გაკარგულებაში გადასცეს. თანამშრომლობა რუსებსა და ნორვეგიელებს შორის განსაკუთრებულ გულთბილობით გამოირჩევა. რუსები მოვიდნენ როგორც ნამდვილი განმათავისუფლებლები, და მათ დიდი აღფრთოვანებით ხვდებიან".

პ. ლ. ჩებიშევი

(ტარდაცვალებიდან 50 წლისთავის გამო)

პაფნუტი ლვოვის-ძე ჩებიშევი, დიდი რუსი მათემატიკოსი, დაიბადა 1821 წელს. მოსკოვის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სადოქტორო დისერტაცია დაიცვა და არჩეულ იქნა ადიუნქტად, ხოლო 1859 წელს—სამეცნიერო აკადემიის ორდინარულ აკადემიკოსად.

თავისი მეცნიერული მოღვაწეობის დასაწყისშივე ჩებიშევმა მიიქცია მათემატიკოსების უყურადღება შესანიშნავი აღმოჩენებით მარტივ რიცხვთა განაწილების დარგში, რაც მას შესძლო ფრიად გონებამახვილურ ელემენტარულ მსჯელობათა საშუალებით.

შემდგომ წარმატებებს ამ დარგში მიაღწია სხვა მათემატიკოსებმა, მაგრამ გაცილებით უფრო რთულ გზით, კომპლექსური ცვლადის ფუნქციის ზოგადი თეორიის განვითარების პარალელურად. თვითონ ჩებიშევი ამ საკითხს აღარ დაბრუნებია და თავისი შემდგომი მუშაობის მეტი წილი მოანდომა ანალიზის, ალბათობის თეორიისა და სხვა საკითხებს.

აღსანიშნავია ჩებიშევის შესანიშნავი გამოკვლევები, რომლებიც შეეხება ალგებრული, განსაკუთრებით ელიპტიკური ინტეგრალების ელემენტარულ ფუნქციებამდე დაყვანის პირობებს. ფორმალური ინტეგრაციის ძირითადი საკითხები მეტწილად ამოხსნილია ჩებიშევის მიერ, რითაც მან არსებითად შეავსო უდროოდ გარდაცვლილი უდიდესი ნორვეგიელი მათემატიკოსის აბელის მიერ მიღებული შედეგები.

ჩებიშევის დანარჩენი ნაშრომები უმთავრესად იმ საკითხებს მიეკუთვნება, რომლებიც თეთონ მან წამოაყენა. 1853 წელს ჩებიშევმა წამოაყენა ცნობილი ამოცანა განსაზღვრული ხარისხის პოლინომის (ნრავალწევრის) შესახებ, რომელიც ნაკლებად განსხვავდება განსაზღვრული ფუნქციისაგან გარკვეულ შუალედში ამ პრობლემის ირგორც სრულ გამოკვლევას ჩებიშევმა მიუძღვნა 1857 წელს რთი თავისი აფუძვლიანი მუარი.

მაგრამ ყველაზე შესანიშნავია ჩებიშევის გამოკვლევები, რომლებიც ეხება ალბათობის თეორიას. ამ დარგში ჩებიშევის გამოკვლევები, რომლებიც ეხება ალბათობის თეორიას. ამ დარგში ჩებიშევის გამოკვლევებს, რომლებიც იდგა მეცნიერების ისტორიაში. მაგრამ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს ჩებიშევის გამოკვლევებს, რომლებშიც იგი გვიჩვენებს ანალიზის განვითარების სრულიად ახალ გზებს. მისი გარდაცვალებიდან განვლილ 50 წლის მანძილზე თანდათან ხორცს ისხამს ჩებიშევის მიერ წამოყენებული ახალი გენიალური მათემატიკური იდეები და ეს იდეები კიდევ დიდხანს უმრეტი წყარო იქნება მათემატიკოსებისათვის. ჩებიშევის ძირ სახელოვან მათემატიკოსები დაუღალავ მუშაობენ ჩებიშევის იდეების განსაბორკილებლად, რაც ღირსეული ძეგლია მისი უკვდავი სახელისათვის.

შ. გვინჩიძე

სასამართლო

კომბინატორები დაისაჯნენ

არსებობს ასეთი ორგანიზაცია — „საქმოსტანდარტიზაცია". მას ქუთაისში აქვს საკუთარი ბაზა, რომლის დირექტორად ითვლებოდა გრიგოლ არეშიძე. ბაზის მოვალეობა იყო მასალარისხოვანი ბოსტნეულის თესლის დამზადება და გავრცელება კოლმეურნეობებში. გ. არეშიძემ კი იგი კომბინატორობისა და სახალხო ქონების განივების ბაზად გადააქცია.

არეშიძემ კოლმეურნეობებს მოსთხოვა ბაზისათვის თესლის ჩაბარების ნაცვლად თესლის საბაზრო ღირებულების გადახდა. ამასთანავე კოლმეურნეობებს შეუთანხმდა, რომ თესლის სახელმწიფო ღირებულება სახელმწიფო ბანკში გადაერიცხათ ახლა საქმე იყო ფასსაწყობო საბუთების „გაფორმება". არეშიძემ თავმჯდომარეებს ძაგნიძე,—უნდა ითქვიათ, რომ გეგმის ჩაშლისათვის პასუხს ავებთ. შემდეგ ანუგეშებდა—ნურაფრისა გეშინიათ, შეავროვეთ იმდენი თანხა, რომ დანარჩენი თესლი ბაზარზე შეიძინოთ... ეს თანხა წაუღეთ „საქმოსტანდარტიზაციის" ქუთაისის კანტორის დირექტორს არეშიძეს და თესლის ჩაბარების საბუთებს გაგიფორმებთო.

არეშიძესთან ზედიზედ მიდიოდნენ ვანის რაიონის სოფელ შუამთის კოლმეურნეობის „გზა სოციალიზმისაკენ", სოფელ რომანეთის კოლმეურნეობა „პარტიზანის" და სხვა კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, მიჰქონდათ ნიძის და სხვა მისთვის სანდო პირებს ასე შეიქმნა კომბინატორთა შეხმატკბილებული ჯგუფი არეშიძის მეთაურობით. მათ მოვალეობანიც გაინაწილეს.

— მე პირველად ჩანაწერებს როგორც საჭიროა ისე გავაფორმებ,—სთქვა გოგებაშვილმა.

— მეც ამ საბუთებს უდავოდ მივიღებ,— დაუმატა ბაბუნაშვილმა.

— მე კიდევ ჩემი რაიონიდან კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებს მსხვილი თანხებით მოვასვეთ თხოვნით, რომ თესლის ნაცვლად ფული მიიღოთ,—განაცხადა ძაგნიძემ.

— ხომ ხედავთ, თესლის ჩაბარების გეგმას ვერ ასრულებთ,—ეუბნებოდა კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს ძაგნიძე,—უნდა ითქვიათ, რომ გეგმის ჩაშლისათვის პასუხს ავებთ. შემდეგ ანუგეშებდა—ნურაფრისა გეშინიათ, შეავროვეთ იმდენი თანხა, რომ დანარჩენი თესლი ბაზარზე შეიძინოთ... ეს თანხა წაუღეთ „საქმოსტანდარტიზაციის" ქუთაისის კანტორის დირექტორს არეშიძეს და ამ ორდერზე იქვე ხელს აწერინებდა კოლმეურნეობის თავმჯდომარის.

ამ კომბინაციის შესახებ არეშიძე წინასწარ მოელაპარაკა თავის მთავარ ბუხგალტერს ბაბუნაშვილს. საწყობის გამგეს გოგებაშვილს, ვანის რაიმიწვანის უფროს აკრონომს. „საქმოსტანდარტიზაციის" რწმუნებულს კანში ძაგნიძის და სხვა მისთვის სანდო პირებს ასე შეიქმნა კომბინატორთა შეხმატკბილებული ჯგუფი არეშიძის მეთაურობით. მათ მოვალეობანიც გაინაწილეს.

ოცი წლის შემდეგ ჩებიშევი გამოდის სამეცნიერო აკადემიაში თავისი მესამე და უკანასკნელი ნაშრომით „ალბათობათა ორი თეორემის შესახებ" და ამით ამთავრებს თავის მრავალწლიან დაძაბულ სამეცნიერო მოღვაწეობას.

განცვიფრებას იწვევს ჩებიშევის მათემატიკური აზროვნების ორიგინალობა და მთლიანობა. მისი ზოგადი თეორიული ნაშრომები, ისე რომ ერთ-ერთ ამ ნაშრომში ალბათობის თეორიის ზოგადი ამოცანების, ყოველთვის წარმოიშობა ხოლმე ტიპიური კონკრეტული ამოცანები, რომლის ანალიზის ნიადაგზე, და რაგინდ განსხვავებული არ უნდა ყოფილიყო ამ განიალური ამოცანების ბუნება, ჩებიშევი მათემატიკური დებულებები, რომლებიც არ სწყვეტდა ყოველთვის პრაქტიკისა და ექსპერიმენტის ურყევ ბაზასთან.

ინტერპოლაცია (ჩასმა) უმცირესი კვადრატების საშუალებით, მიახლოებით ინტეგრაცია და მომენტების პრობლემა ალბათობის თეორიაში—ყოველივე ამან ჩებიშევი მიიყვანა ზოგადი თეორემის ალიარებამდე, რომელიც ალბათობის თეორიის ერთ-ერთ ფუნდამენტალურ საკითხს ეხება, ამ საკითხის ისტორიაში, მაგრამ ჩებიშევის ამ თეორემის ზოგიერთი თეორემის დამტკიცებამდე. ეს დარგი ახალგაზრდობიდანვე აინტერესებდა ჩებიშევს. პუასონის ანალიზის განვითარების სრულიად ახალ გზებს. მისი გარდაცვალებიდან განვლილ 50 წლის მანძილზე თანდათან ხორცს ისხამს ჩებიშევის მიერ წამოყენებული ახალი გენიალური მათემატიკური იდეები და ეს იდეები კიდევ დიდხანს უმრეტი წყარო იქნება მათემატიკოსებისათვის. ჩებიშევის ძირ სახელოვან მათემატიკოსები დაუღალავ მუშაობენ ჩებიშევის იდეების განსაბორკილებლად, რაც ღირსეული ძეგლია მისი უკვდავი სახელისათვის.

შ. გვინჩიძე

საქართველოს საჭადრაკო ჩემპიონატი

შვიდ შესდგა საქართველოს საშაჭადრაკო ჩემპიონატის რვა ტური. ტურნირი დიდ ინტერესს იწვევს. რვა ტურის შემდეგ მდგომარეობა ასეთია: ოსტატ მიკენასს აქვს 6½ ქულა, დამბარაშვილს — 6, ოსტატობის კანდიდატ ცინცაძეს — 5½ (2 პარტია გადადებულია). ოსტატობის კანდიდატ შიშოვს — 5 (1 პარტია გადადებულია), ოსტატობის კანდიდატ სოროკინს — 4½ (1 პარტია გადადებულია), ბლაიძეს — 3 (3 პარტია გადადებულია), მირზაევს — 3 (2 პარტია გადადებულია), ნერსესოვს—3 (1 პარტია გადადებულია), ოსტატ კასპარიანს—2½ (4 პარტია გადადებულია) და სხვ.

ცალკეული პარტიებიდან აღსანიშნავია ღამბარაშვილის გამარჯვება ოსტატ მიკენასზე და ოსტატ კასპარიანზე. ოსტატ მიკენასისა — შიშოვზე, ცინცაძისა — სოროკინზე, ნერსესოვისა — დამბარაშვილზე, ბლაიძისა — სერედაზე. ფალავანდიშვილისა—კარსანიძეზე.

დღეს შესდგება მე-9 ტური, რომელშიც თამაშობენ: ფალავანდიშვილი — დამბარაშვილი, მიკენასი — ცინცაძე, მალუშხია — ბახტაძე, ნერსესოვი — კასპარიანი, გამრეკელი — მირზაევი, ბლაიძე — სოროკინი, სურიდა—პეტროსიანი, კარსანიძე—აგამალიანი, შიშოვი—სპაროდსკი.

თამაში სწარმოებს პროფკავშირების სახლის შენობაში (ვარძიიდროვის ქ. № 19) საღამოს 7-დან 12 საათამდე.

სემინარი

9 დეკემბერს, დილის 8 საათსა და 30 წუთზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში კომკავშირის ხელმძღვანელ შუშაკათათვის შუსდგება სემინარის მეცადინეობა. თემა: **„ამხანაგ სტალინის მოხსენება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 27 წლისთავზე".**

პრემიერა მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში

9 და 10 დეკემბერს მოზარდ მაყურებელთა ახალქალაქის სახელმწიფო ქართული თეატრი მაყურებლებს უჩვენებს ახალგაზრდა დრამატურგის კ. გოგიაშვილის „ფარაონელ ჭაბუკს". პიესა დადგა რეჟისორმა თ. წეროძემ, მხატვარი ს. გაბაშვილი, მუსიკა კომპოზიტორ არ. კერესელიძისა.

მთავარ როლებს ასრულებენ: რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი გ. დარისპანაშვილი (მეფე), რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი თ. თელიაშვილი (მეფის ასული), რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ნ. გვარამაძე (ვეზირი), მსახიობები ს. გამრეკელი (რამაზი), დ. ცხაკაია (ნოდარი), ალ. ღვინიაშვილი (რუსუდანი), შ. გელეყაშვილი (ოქროპირი), ვ. მაჩაიძე (ყაფლანი), ვ. ძაგნიძე (ყარამანი) და სხვ.

კონსულტაცია

8 დეკემბერს, სალამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 41) მომხსენებელია პროპაგანდისტთა და აგიტატორთათვის შესდგება ამხ. ფრიშენბერგის კონსულტაცია რუსულ ენაზე. თემა: **„სამამულო ომის მომდინარე მომენტი და სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა".** (თხუთმეტი დღის მიმოხილვა). შეაცნა თავისუფალია.

ლექცია

8 დეკემბერს, სალამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში შესდგება ამხ. **ხ. სიმონგულოვის** ლექცია ქართულ ენაზე. თემა: **„პარტიის ორგანიზაციული მშენებლობის საკითხები ამხანაგ სტალინის შრომებში".**

ალექსანდრე აბაშელის საღამო

9 დეკემბერს, დღის 3 საათზე, ჰუშენის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო სწავლებლო ინსტიტუტი აწყობს პოეტ **ალ. აბაშელის** საღამოს. მოხსენებას ალექსანდრე აბაშელის შემოქმედებაზე წაიკითხავს დოცენტი გ. ძოლენტი.

პოეტის ლექსებს წაიკითხავენ ინსტიტუტის სტუდენტები.

თეატრებში

8 დეკემბერს: სახელმწიფო ოპერა—„დონ ჟუანი". **რუსთაველის სახელობის**—„სირანო დე ბერჟერაკი". **მარჯანიშვილის სახელობის**—„მაყვრატიონი". **გრიბოედოვის სახელობის**—„ფლოტის ოფიცერი" **სომხური**—„აღმოსავლეთის დანტისტი". **ახუნდოვის სახელობის**—„ნიზამი". **მუსკომედიის**—„არშინ მალ-ალანი". **მოზარდ მაყურებელთა**—ქართული — „ვალე სოკოლოვა", რუსული—„გეოლოგები ლილაბეტების ქვეყანაში".

კინოებში

8 დეკემბერს: რუსთაველის სახელობის—„სიმღერა რუსეთზე" **ოქტომბერი**—„ძველ ჩიკაგოში" **დამკვრელი** „სამი მუშკეტერი" „გამარჯვება სამხრეთში". **კომკავშირელი**—„ზღვის ქორი". **ლუკსემბურგის სახელობის**—„მხიარული ახალგაზრდობა". **ხპარტაკი**—„წყალქვეშა ნავი ტ-9" **26 კომისრის სახელობის**—„დათვი". „ნილაბი".

პასუხისმგებელი რედაქტორი
გ. ნანიტაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილის—3-62-03, პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოს—3-06-88, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრებისა და პარტიული პროპაგანდის — 3-81-84, კომკავშირული ცხოვრებისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, სახოფლო-სამეურნეო და სამრეწველო ხატრანსპორტო—3-80-83, სამხედრო, ლიტერატურისა—3-80-84, მორიგისა და გამომძიებლის—3-81-65, გამომცემლობის— 3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. ჰ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 91,800

უე 07947

ბაბილინა და დავით რაფავები შვილებით:

ცისანა, ლეილა და ჯემალით იუწყებიან **ნინო ანტონის-ასულ დგებუაძის** გარდაცვალებას.

დედა ლეონილა, მეუღლე ოლია, და ვერა, ძმა ოთარი, რძალი ანა შვილებით იუწყებიან **ნიკოლოზ კიკაჩეიშვილის** გარდაცვალებას.

ამხანაგები კომახიძე, ჯაფარიძე, ჯიქიძე, გეგეჭკორი, მიქელაძე, ანანიაშვილი, ჯაფარიძე, ფანჯავიძე, მინდაძე, გაწერელია, ოკუჯავა, ამბაიშვილი იუწყებიან **ნიკოლოზ კიკაჩეიშვილის** გარდაცვალებას.

მეუღლე ლოლა შვილებით იუწყება, რომ 10/XII, 1 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **ლევან ანტონის-ძე ბახილიას** პანაშვიდი.

დედა ვერა, შვილები თარგამოსი, მზიური, გულნარა, უშანგი, ძმა არჩილი, დიდმამილა ბაბე იუწყებიან **მანია შაშიაშვილის** გარდაცვალებას.

მეუღლე ბაპოლონი შვილებით, მამამთილი ანდრია ოჯახით იუწყებიან ლიდა **ჭანტურია-როგავას** გარდაცვალებას.

დედა რუსუდან, ბებია მარიამ ბაბუა შალვა დიდმშვილები იუწყებიან, რომ 10/XII, 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **რეზოს** პანაშვიდი.

მამა არჩილი, მეუღლე მარი, შვილები ცეცილია, ლეილა, ნუნე იუწყებიან ექიმ **სანდრო ფანჯავიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 8, 9/XII, 7 ს. გამოსვენება 10/XII, 2 ს. II აფხაზეთის, 20.

ელენე ჟორდანია, ქეთევან მოლჩანი ოჯახებით იუწყებიან დედის **ნინო ილურიძის** გარდაცვალებას პანაშვიდი 9/XII გამოსვენება 10/XII, 2 ს. ლენინგრადის, 10.

რძალი სონია შვილებით: ქსენია, თამარ, ნინო, კენედიქტე, ალექსანდრე, მიშა, რძლები ილვა, ნინო, სიძეები თადეოზი, ვიქტორი იუწყებიან **თომა ბარამიძის** გარდაცვალებას.

მეუღლე მიშა, შვილები ეთერი, ირა, გოგა, დედამთილი ანა შვილებით: ნინო, მარო, ლარა, რძალი რაჰილი შვილებით ჩხეიძეები იუწყებიან **შურა ჩხეიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 7 ს. გამოსვენება 10/XII, 2 ს. გოგოლის, 3.

მეუღლე ნადია, შვილი ბოჭოლა ლომიძეები, და ელენე მეუღლით კოტე ყურაშვილით იუწყებიან **გრიშა ლომიძის** გარდაცვალებას.

დეიდები ნინო, მარუსია, ბიძები ვ. სიმონია, ე. კუცია იუწყებიან **ოთარ ინასარიძის** გარდაცვალებას.

მეუღლე ეკატერინე, შვილები ლეო, დოდო, მაშიკა იუწყებიან **ივლიანე მგალობლიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 8, 9/XII, 7 ს. გამოსვენება 10/XII, პლეხანოვის, 97.

დედა ოლია, მეუღლე შაშიკო შვილებით, ძმა შოთა, რძალი ზინა, და სონია, სიძე შ. ჯორბენაძე იუწყებიან, რომ 10/XII დანიშნულია **ნესტორ კალანდარიშვილის** პანაშვიდი.

მოქალაქე **ევგენია მიხეილის-ასულ თურქაძემ,** ცხოვრებმა ორჯონიკიძის ქ. № 89, აღძრა სარჩელი იაზონის ქ. № 10 ცხოვრებ მოქალაქე **თევდორე ნიკიფორის-ძე სემიონოვთან** განქორწინების შესახებ. სარჩელის განსახილველად იქნება ქ. თბილისის სტალინის რაიონის მე-3 უბნის სახალხო სასამართლოში.